

საგარეო ურთიერთობები

საგარეო ურთიერთობების
სამსახური




პორტუგალიისკენ!
რუსეთის გავლით!



- 3** *სოლომონ გულიაშვილი*
**ვაგა ავჯერად
მინს...**
- 4** *ლევან ჯავახიძე*
განსოვდეთ ისრაელი
- 6** *მინო მოსულიშვილი*
**გენდლა, ანუ რაინდი
მინდორზე, რაინდი
ბრძოლის ველზე**
პავუნა კვიციანი
- 9** **1966 1970 1974**
- 16** *ტუტა სინარულიძე*
**ბიჭები, ცხოველები,
ნილ-გოსტანი და...**
- 17** *ირაკლი ბამბრაღია*
**პარი და ჯო
ფანტურთა წაიღწან**
- 19** *ლევან კელაშრაძე*
**მთავარია, «გაიარა»
არ ჩაიხადონ
დავით გულუა**
- 20** **იღბლის კვანძი**
- 22** *ტუტა სინარულიძე*
უკუჩრდალეთ მაიკს
- 23** *მინა ახალაძე*
**დოლიკის
კოფერფილდობას
ახარხება**
- 24** *მიგა გურასაშვილი*
**ვაგ-თეთრუი
გამოწყობილთა
თეთრი აგებები**
- 25** *ამთანდილ გურასაშვილი*
**ციკაული ისტორიები
– საჭიდაო სარბიელზე**

14-15 გვერდი. რივალდო, ბარსელონა, ბრაზილია. REUTERS
I ალექსანდრე ჩივაძე, მიკ მაკარტი (ირლანდია) და სულეიმან დემოლარი (ალბანეთი) REUTERS
II ევრო 2004-ის კენჭისყრის ცერემონიალი. REUTERS
III ჭიდაობა. ავთო გურასაშვილის ფოტო
IV შვეიცარიელი სამთომოთხილამურე კატრინ ბორგი. REUTERS



რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოლომონ გულიაშვილი
ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაგველიძე
სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი
ოპერატორი მაგდა დობრავილი

მრჩველთა საბჭო:
განტანგ ზზიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

გეგმი სარბიელის დაგეგმვა

რეკლამა უფრნალ «სარბიელში» – 93 16 08



ეგებ აფერად მაინს...

სოლოონ გულისაჟილი

საქართველო ისეთ ჯგუფში მოხვდა, რომლიდან გასვლა რაღაც ზეზუნებრივი მოვლენა შეიძლება სულაც არ იყოს. თანაბარი ჯგუფია, სადაც, ალბათ, ყველა გუნდი დაკარგავს დაუგეგმავ ქულებს. ნებისმიერმა შეიძლება ნებისმიერს მოუგოს და ამიტომ ყველაფერი ჩვენი ფეხბურთელების მარიფათზე იქნება დამოკიდებული. ეგებ აფერად მაინს...

„მინდისფერთა“ დღევანდელი თაობის თითქმის ნახევრისთვის ხომ ეს დიდ საფეხბურთო ტურნირზე მოხვედრის ლამის ბოლო შანსია. დემოტომანი, საწყენი იქნება, თუ მათი ნიჭისა და გამოცდილების ხალხი კარიერას ნაღდი სანაკრებო ზეიმის გარეშე დაამთავრებს.

ჩვენთვის ჯგუფის მთავარი მოვლენა, ცხადია, რუსებთან მატჩებია. აშკარაა, რომ რუსთა და ქართველთა შეხვედრებს მხოლოდ ფეხბურთის ვერაფრით დაგარქმევთ. აკი თქვა კიდევ რუსების ნახევარმცველმა ალექსანდრ მოსტოვოიმ: ვიცი, თბილისში როგორი რთული თამაშიც გველის. ახლავე წარმომიდგენია, სტადიონზე რა ვითარება დაგვხვდება.

ძნელი სათქმელია, ცუდია თუ კარგი, რუსები რომ ჩვენი თანაჯგუფელები გახდნენ. მაგალითად, მათი საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ვიანესლავ კოლოსკოვი დაბლომატობას იჩენს, ამბობს, პოლიტიკური პრობლემები ჩვენს მეგობრობას ვერას დააკლებსო და ჯგუფს ასე აფასებს: „აშკარა ფავორიტი არ ჩანს — რუსეთი, ირლანდია, შვეიცარია და საქართველო დაახლოებით თანაბარი კლასის გუნდები არიან, ალბანელებსაც კერკეტი ნაკრები ჰყავთ. თავისი შესაძლებლობებით ქართველთა ეროვნული გუნდი ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეულია. ტყუილად ხომ არ თამაშობენ იტალიაში, გერმანიაში, ინგლისსა და ჰოლანდიაში. თანაც, ის, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ერთ ქვეყანაში ვცხოვრობდით,

ჩვენს შეხვედრებს დამატებით ელფერს შესძენს“. კოლოსკოვის ეს პათოსი იმასაც ხომ არ ნიშნავს, რომ რუსები და ქართველები დანარჩენების წინააღმდეგ გაერთიანდებიან?..

ირლანდიელთა მწვრთნელს მიკ მაკარტის თავი ერთობ ყინვად უჭირავს და ქართველების არაფერი გამეგებო, აცხადებს. მართალია, ირლანდია ძლიერი გუნდია, ბოლო-ბოლო წინა შესარჩევში ჰოლანდია ჯგუფში ჩატოვა, მაგრამ ისიც ვთქვათ, როგორ მდგომარეობაში იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ. ეგეც არ იყოს, ირლანდია არ არის არც საფრანგეთი, არც ინგლისი, ესპანეთი, გერმანია თუ იტალია...

ალბანელთა თავკაცი სულეიმან დემოლარი, პირიქით, ამტკიცებს, ქართველებს ხუთი თითივით ვიცნობო, თუმცა იმასაც დასძენს, მათი მეტოქეობა ცუდად გვაქვს დაცდილიო. მართლაც, ალბანელები უკვე მესამედ მოხვდნენ ჩვენთან ერთად შესარჩევში. თანაც, წინა ორიც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გახლდათ. ქართველებმა საძვერ მოიგეს და ერთხელ წააგეს. ერთხელაც მალტის ტურნირზე დაიფრინეს „არწივები“.

შვეიცარიელთა მწვრთნელი კობი კუნი თავდაჭერილია. მას ლამის ახალი გუნდის ჩამოყალიბება უხდება და შესარჩევის დაწყებამდე ნაკრები ნაკრებს უნდა დაამსგავსოს. ისე, თუ შვეიცარიელებს ჩვენებთან რაიმე უპირატესობა ექნათ, ეს მათი შუაგეროპელობის კვალობაზე, თამაშის უკეთესი ორგანიზაცია თუ იქნება. ქართველთა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ კი „სარბიელს“ ეს უთხრა: „შესაძლოა, გამარჯვების მეტი შანსი რუსეთსა და ირლანდიას ჰქონდეთ, მაგრამ ეს ჩვენთვის ბევრს არაფერს ნიშნავს. მაქსიმუმში უნდა გავაკეთოთ და მათ ვაკვობით“.

მეტოქე ნაკრებთა მწვრთნელები 15 თებერვალს დუბლინში შეიკრიბებიან და, ალბათ, ჯგუფის კალენდარზეც შეთანხმდებიან. დანარჩენი კი... ერთმანეთის გასაცნობად და საფიქრელად დრო საკმაოა. საკვალიფიკაციო ეტაპი 7-8 სექტემბერს დაიწყება.

ირლანდია

ოფიციალური სახელი — ირლანდიის რესპუბლიკა. სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ფართობი 70 300 კვ.კმ.
 მოსახლეობა 3,8 მილიონი ადამიანი. შედგება 26 საგრაფოსგან.
 დედაქალაქი — დუბლინი.
 ფულის ერთეული — ევრო.
 ოფიციალური ენები — ირლანდიური და ინგლისური.
 რელიგია — კათოლიკები.
 ირლანდიის ფეხბურთის ასოციაცია დაარსდა 1921 წელს. ფიფას წევრია 1923, უეფასი 1954 წლიდან.
 პრეზიდენტი — პატრიკ კუივლი.
 ნაკრების მწვრთნელი — მიკ მაკარტი.
 ფორმის ფერები — მწვანე მაისურები, თეთრი ტრუსები, მწვანე გეტრები.
 ეროვნულმა გუნდმა პირველი მატჩი 1924 წლის 28 მაისს გამართა ბულგარეთთან (1:0)
 მიღწევები: 1990 და 94 წლების მსოფლიოსა და 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის მონაწილე ამ ზაფხულს ითამაშებს კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

რუსეთი

სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, ფართობი 17 075 000 კვ.კმ.
 მოსახლეობა 144,4 მილიონი ადამიანი.
 დედაქალაქი — მოსკოვი.
 ფულის ერთეული — რუსული რუბლი.
 ოფიციალური ენა — რუსული.
 რელიგია — მართლმადიდებელი ქრისტიანები.
 რუსეთის საფეხბურთო კავშირი დაარსდა 1912 წელს. ფიფას და უეფას წევრია 1992 წლიდან.
 პრეზიდენტი — ვიანესლავ კოლოსკოვი.
 ნაკრების მწვრთნელი — ოლეგ რომანცევი.
 ფორმის ფერები — თეთრი მაისურები, თეთრი ტრუსები, თეთრი გეტრები.
 ეროვნულმა გუნდმა პირველი მატჩი 1912 წლის 30 ივნისს გამართა ფინეთთან (1:2)
 მიღწევები — მონაწილეობდა 1994 წლის მსოფლიოსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატებზე. ამ ზაფხულს ითამაშებს კორეა-იაპონიის მსოფლიოს ჩემპიონატზე.



სლოვენელითა შვედონელი სერჯო კატანეცი, ფრანგი როლე ლემური და ისრაელის დანიელი თავკაცი რიჩარდ მილერ-ნილსენი

განსოვდეთ ისრაელი...

ლევან ჯაფარიძე

25 იანვარს პორტუგალიაში „ევრო 2004“-ის წილისყრა ახალი სისტემით გაიმართა. ორგანიზატორებმა მონაწილეები ათ ხუთგუნდა ვაკუფად დაანაწილეს, რომელთაგან გამარჯვებულები ფინალურ ეტაპზე პირდაპირ მოხვდებიან, ხოლო მეორეადგილოსნებიდან პლეი ოფში კიდევ ხუთი იბლბიანი გამოვლინდება. ამით დავეუძალოთ მასპინძელი პორტუგალია და 16 ფინალისტიც მზად იქნება.

ერთი შეხედვით, ვაკუფები თანაბრად დაკომპლექტდა, მაგრამ ისეთი მატჩებს რა გამოლევს, სადაც მოწინააღმდეგეებს თავთავისი ანგარიშები ექნებათ. მაგალითად, პირველ ვაკუფში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, საფრანგეთის, მეტოქეები ისრაელი და კვიპროსი არიან. გავისხენოთ, რომ 1989 წლის შემოდგომაზე კვიპროსში ნათამაშევი მატჩის ფრედ დამთავრებამ ფრანგებს იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლაში შეუშალა ხელი. ოთხი წლის შემდეგ ფრანგებს საერთოდაც გაუეონარი ამბავი შეემთხვათ: აშშ-ის მსოფლიო თასზე მოსახვედრად შესარჩევი ციკლის ბოლო ორ საშინაო მატჩში ისრაელთან და ბულგარეთთან მხოლოდ ერთი ქულა სჭირდებოდათ, მაგრამ ვერც ერთი ვერ აიღეს. ისრაელს 2:1 უგებდნენ და მერე ორი ბურთის გაშვება „მოახერხეს“. მერე კი იყო ბულგარეთი და ბოლო წუთზე კოსტანინოვის ფანტასტიკური გოლი, რომელმაც „სამფეროვნება“ ჩემპიონატს მიღმა დატოვა. ბულგარეთი ბულგარეთად, მაგრამ „მისტიკა“ ხომ ისრაელით დაიწყო...

მეორე ვაკუფში საინტერესოა დანიისა და რუმინეთის მეტოქეობა. 1989 წელს დანიელებს „სტიაუს“ სტადიონზე ფრედ ჰყიფ-

ნიდათ მომდევნო წელს იტალიის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად. დასაწყისშივე ფლეკინგ პოულსენმა დააწინაურა კიდევ სკანდინავიელები, მაგრამ მერე რუმინელებმა საბოლოო გაიტანეს და იტალიაში თავად წავიდნენ.

მესამე ვაკუფში ისეთი ნაკრები გუნდები მოხვდნენ, რომელთაგანაც ამ ზაფხულს კორეა-იაპონიაში არც ერთი არ წავა. მაგრამ გავისხენოთ „ევრო 2000“ და მაშინდელი ჰოლანდია — ჩეხეთი. იტალიელმა მსაჯმა კოლინამ ჩეხების კარში ერთობ საეჭვო პენალტი დანიშნა და ამ წაგების მერე იოჟეფ ჰოვანეცის გუნდი წელში ვეღარ გასწორდა.

გერმანელებს არაფერი აქვთ საწუწუნო: არცთუ ძლიერი მეტოქეები ერგოთ. ძალიან საინტერესო იქნება გერმანია — შოტლანდიის მატჩები. სქოთებს ხომ ყოფილი ბუნდესტრენერი ბერტი ფოგთის წვრთნის.

ინგლისი მეორე კალათაში განთესეს, მაგრამ პირველმა გაუმართლა. თურქეთს გრანდების გვერდით ვერ დაეყენებო. თუმცა თურქინგლისელ ფანთა ერთმანეთისაღმი სიძულვილი ცნობილია და მათი შეხვედრისას პოლიციას, ალბათ, ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს.

ისევ ერთად მოხვდნენ ბელგია და ხორვატია. მოგეხსენებათ, წინა შესარჩევი „წითელ ეშმაკუნებს“ ხორვატებმა აჯობეს და ბელგია პლეი ოფში, ჩეხებთან ბრძოლის მერე მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

მეცხრე ვაკუფის ფავორიტები იტალია და იუგოსლავია არიან. ესენი ერთმანეთს არცთუ ხშირად შეხვედრიან. მათგან ყველაზე სამახსოვრო, ალბათ, 1968 წლის ევროპის ჩემპიონატის ორმატჩიანი ფინალია, რომელშიც იტალიელებმა იმარჯვეს. 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე კი ეს ნაკრები გუნდები ერთი ვაკუფიდან გაეშვაზაზნენ ესპანეთში, სადაც იტალიამ პირველობა მოიპოვა...

კენჯისერის დღეს ლეგენდარულ ეუსების 60 წელი შეუსრულდა და უფას გენერალურ მდივან გერპარდ აიგნერისგან სამახსოვრო საჩუქარიც მიიღო



შვეიცარია

ოფიციალური სახელი — შვეიცარიის კონფედერაცია. სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. ფართობი 41 290 კვ.კმ.
 მოსახლეობა 7,27 მილიონი ადამიანი (ამათგან მილიონზე მეტი უცხოელია).
 დედაქალაქი — ბერნი
 ფულის ერთეული — შვეიცარიული ფრანკი.
 ოფიციალური ენები — გერმანული, ფრანგული, იტალიური, რეტორომანული რელიგია — კათოლიკები, პროტესტანტები
 შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1895 წელს. ფიფას წევრია 1904, უეფასი — 1954 წლიდან
 პრეზიდენტი — რალფ ზლოფოვიჩი.
 ნაკრების მწვრთნელი — იაკობ კუნნი.
 ფორმის ფერები — წითელი მისურები, თეთრი ტრუსები, წითელი გეტრები.
 ეროვნულმა გუნდმა პირველი მატჩი 1905 წლის 12 თებერვალს გაიმართა საფრანგეთთან (0:1).
 მიღწევები — მონაწილეობდა 1934, 38, 50, 54, 62, 66 და 94 წლების მსოფლიოსა და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატებზე

ალბანეთი

სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ფართობი 28 700 კვ.კმ.
 მოსახლეობა — 3 მილიონი ადამიანი.
 დედაქალაქი — ტირანა.
 ფულის ერთეული — ალბანური ლეკი.
 ოფიციალური ენა — ალბანური.
 რელიგია — მუსლიმანები.
 ალბანეთის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1930 წელს. ფიფას წევრია 1932, უეფასი 1954 წლიდან.
 პრეზიდენტი — დიმიტერ პაპადოპოლი.
 ნაკრების მწვრთნელი — სულეიმან დემოლარი.
 ფორმის ფერები — წითელი მისურები, შავი ტრუსები, წითელი გეტრები.
 ეროვნულმა გუნდმა პირველი მატჩი 1946 წლის 7 ოქტომბერს ჩაატარა იუგოსლავიათან (2:3)
 მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე არ უთამაშა.

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის
შესარჩევი ჯგუფები

პირველი ჯგუფი

საფრანგეთი
სლოვენია
ისრაელი
კვიპროსი
მალტა

მეორე ჯგუფი

რუმინეთი
დანია
ნორვეგია
პოსნია
ლუქსემბურგი

მესამე ჯგუფი

ჩეხეთი
ჰოლანდია
ავსტრია
ბელარუსი
მოლდოვა

მეოთხე ჯგუფი

შვედეთი
პოლონეთი
უნგრეთი
ლატვია
სან მარინო

მეხუთე ჯგუფი

გერმანია
უოტლანდია
ისლანდია
ლიტვა
ფარერები

მეექვსე ჯგუფი

ესპანეთი
უკრაინა
საბერძნეთი
ჩრდ. ირლანდია
სომხეთი

მეშვიდე ჯგუფი

თურქეთი
ინგლისი
სლოვაკეთი
გაქედონია
ლიხტენშტაინი

მერვე ჯგუფი

ბელგია
სერბია
ბულგარეთი
ესტონეთი
ანდორა

მეცხრე ჯგუფი

იტალია
იუგოსლავია
ფინეთი
უელსი
აზერბაიჯანი

მათე ჯგუფი

ირლანდია
რუსეთი
შვეიცარია
სამარტინველი
ალბანეთი

ბენდელა, ანუ ჩაინლი მინლორზე, ჩაინლი ბრძოლის ველზე



ცოტაც და 1992 წლის 3 დეკემბრის შემდეგ ათი წელი გავა. ვინც მაშინ დაიბადა უკვე ათი წლისაა, მაშინდელი ათი წლისანი კი ოცი წლის ჭაბუკებად მოყრილან და თითოეულ მათგანს ყოველ ზამთარს ტელევიზორიდან ესმის: „დღეს, ბენდელას თასზე გაიმართა...“

ბენდელას ზაზა ბენდელიანს ეძახდნენ, 1992 წლის 3 დეკემბერს, აფხაზეთში, სოფელ ტამიშთან დაღუპულ ახალგაზრდას, ფეხბურთელს, შვილს, ძმას, მეგობარს... და სწორედ მის ხსოვნას ეძღვნება მწერალ მისო მოსულიშვილის წიგნი, რომელიც ზაზა ბენდელიანის უახლოეს ადამიანთა მოგონებებზეა აგებული.

დღეს რამდენიმე ფრაგმენტს გთავაზობთ, საკუთრივ წიგნს კი საზოგადოება უახლოეს ხანს იხილავს.

გამის, ჯუმაკარ ბენდელიანის მოგონება:

მიდის დრო და ზაზა სულ ფეხბურთის თამაშით და ზღვაში ცურვით არის გართული.

ჩვენი კურორტში ტრესტის სასტუმროს წინ ასფალტით დაკეპული მინ-ფეხბურთის მოედანი და ერთ კვირა დღესაც მე და ნათელა დაყურებთ ჩვენი აივნებიდან — ეტყობა, ფეხბურთის თამაშს აპირებენ ბავშვები.

ამ დროს სიცილ-კისკისით მომვარდა ჩემი ვერიკო, იქნებოდა ექვსი წლის და მომხარა ჩემი ბიძაშვილის, შოთას მოსვლა სტუმრად, თან თავისი ბიჭებიც მოიყვანა, რობერტც და რომანიცო.

წამიც არ გასულა, რომ აივანზე თავისებური ორბროხა ხმით და გაბრწყინებული სახით გამოვიდა ღურუ ხურცილაგანაირი ჯან-ღონით სავსე ჩემი ბიძაშვილი, რომელსაც თავის სოფელ ჯიხასკარშიც და ზუგდიდშიც სწორედ „ღურუს“ ეძახდნენ გაუგონარი ძალის გამო.

ჯერ ნათელას აკოცა, თავის რძალს და პატიება სთხოვა ამდენი ხნის უნაზაობის გამო. მერე ჩვენი გადავეხვეით ერთმანეთს.

შოთა ერთი წლით უმცროსი იყო ჩემზე. მისი დიდი პატივისცემა და სიყვარული ყოველივეს მქონდა, მიუხედავად თავის საზიანოდ დაშვებული შეცდომებისა, თორემ სხვებისთვის ყოველთვის სიყვარული ვაჟაკიც იყო.

შევედით შიგნით და იქ გაავარძელეთ ლაპარაკი.

რობერტმა და რომანმა ბიცოლას რომ აკოცეს, მე მომვარდნენ და — ზაზა სად არის, ზაზა სად არისო — ამას იმეორებდნენ.

ამ დროს ვერიკო აივანზე გასულიყო და ზაზას ეძახდა, — ამიდიო. რომ დაატყო, ჩემი ძმა არ ჩქარობს ამოსვლასო, კიდევ გადასახა — რობერტი და რომანი ჩამოვიდნენ, ჩქარაო.

მერე ბიჭებიც გავიდნენ აივანზე და ზაზამ როგორც კი შეამჩნია თავისი ბიძაშვილები, სიბოლით წამოვიდა ჩვენი საღარბაზოსკენ. მერე ისევ უკან გაბრუნდა, ეტყობა, ბიჭებს უთხრა, ორ კაცს ჩამოვიყვან სათამაშოდო და ორ წუთში ცხრასართულიანი სახლის მეხუთე სართულზე იყო. სახლში რომ შემოირბინა, ისე ეცნენ სამივენი ერთმანეთს, თითქოს ერთი წლის უნახავები ყოფილიყვნენ. ერთმანეთს მხარში მუჯღუგუნებს სთავაზობდნენ სიხარული-საგან.

ვერიკო ეულად იდგა და ალბათ, იმაზე ფიქრობდა, ამ ორი ბიძაშვილიდან ერთი მაინც ყოფილიყო ვოგო, რომ თვითონაც ზაზასავით გაეხარა. მერე, ეტყობა, ბავშვურად შემუვრდა მძის სიხარული და იმანაც მუჯღუგუნე დაარტყა რობერტს მხარში.

ზაზამ ბიძამისი რომ გადააკონა, უთხრა — შოთა ბიძია, რობერტი და რომანი მიმყავს ქვემოთ, რაინდის გუნდს უნდა შევხვდეთო... ნატვრა ამიხდა, ბიჭები რომ ჩამოვიდნენ.

შოთამ გაიკვირვა — რა თქვი, ვინ არის რაინდი?

მაგრამ სამივენი საჩქაროდ გავარდნენ კარში და მე მომიწია შოთასთვის განმარტების მიცემა, თან ცოლსაც ვინმარებდი ამ საქმეში.

რაინდი ერქვა მეზობლად მცხოვრებ გავრულ ბიჭს. ეს იყო ჩემი მეგობრის, კუკური ღლონტის უფროსი შვილი. ის დღეისათვის ლტოლვილია, თბილისში ცხოვრობს, ხოლო რაინდზე ერთი წლით პატარა ძმა, ზაზას თანატოლი გიორგი კი დღეს ამქვეყნად აღარ არის, ვაჟაკურად დაღლი თავი გავრის დაცემის დღეს.

და მაშინ ეს ცხრა-ათი წლის ბიჭები დღე და ღამე თამაშობდნენ ფეხბურთს ჩვენი სასტუმროს წინ, ასფალტზე...

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ტრესტის სასტუმროში ზაფხულობით დამსვენებლების ტყვა არ იყო ხოლმე.

ასევე აქვე ცხვოვობდა გალიდან ჩამოსუ-

ლი ერთი ძალიან კეთილი, ასე 22 წლის ბიჭი იქნებოდა, ვინმე „ჩორნა“, გვარი არ მახსოვს. ამწის მემანქანედ მუშაობდა ჩვენთან.

ამ ჩორნას ძალიან უყვარდა ფეხბურთი და ხშირად თამაშობდა 9-10 წლის ბიჭებთან ერთად. ამასთან ძალიან უყვარდა ილეთების და ფინტების ჩვენება სასტუმროდან გადმოდგარი მაყურებლისათვის.

იმ დღეს გვარაიანად იყო მოღრუბლული. ისეთი დიდი ტალღები დაგვალობდნენ, ცურვა შეუძლებელი იყო და სწორედ ამან განაპირობა, რომ უამრავი დამსვენებელი აივნებზე გადმოდგარიყო აღელვებული ზღვის საყურებლად, თან უმრავლესობა ბავშვების ფეხბურთის ცქერითაც ერთობოდა.

ასეთი დიდი აუდიტორიის მნახველ „ჩორნას“ დღეს შეეცვალა ამპლუა და თუმცა ორგანიზაციულ-საარბიტრო საქმეებით გახლდათ დაკავებული, მაინც არავის უთმობდა კომენტატორის მოვალეობის შესრულების უფლებას. ხელში მეგაფონი ეჭირა და ისე დახვეწილად, ნიჭიერად და იუმორის მოშველიებით ამუქებდა მოსალოდნელი საფეხბურთო პაექრობის პერიპეტეებს, ასე მგონია, კოტე მახარაძეს რომ მოენიძინა, გაიხარებდა — ეს რა კარგი მიმდევარი გამოიმჩნდა!

მერე ჩვენი ბავშვები რაღაცას ეკამათებოდნენ რაინდი ღლონტის გუნდის წევრებს და ზოგჯერ თავად ჩორნასაც.

სამიში ხომ არ არისო, — შეშფოთდა შოთა.

მე დღისით, რაც გავრაში ვართ, შინ არ ვყოფილვარ და აბა, რა ვიცი მეთქი, კუთხარი.

ამ დროს ნათელა გამოვიდა აივანზე. ინტუიციით მიხვდა, რაზეც ვწერე უილობდით და თავისებურად დაგვამშვიდა — არაფე-

რია საშიში, მეზობლის ბავშვებია ყველა და სულ მაგ დღეში არიანო, თანაც, თავის მხრივ, შეწუხდა — ბავშვებს არ უჭამათ და ვაზშია ერთი საათით გვიან დავიწყეთ, თამაში რომ დამთავრდებო.

აბა, გცოდნია, ჩემო რძალო, ყველაფერი შენო, — გული დამშრდა შოთამ.

შოთას საპატრივსაკმოდ კიდევ ვინმეს ხომ არ დაპატივებდით, — ახლა მე მომპართა ნათელამ.

ისედაც მოსასვლელია ორი სტუმარი მე-თქი, — ის იყო, მიუვუე, რომ გაისმა ჩორნა-კომენტატორის ხმა, რომელმაც მასურბელს აუწყა, რომ დღეს ერთმანეთს ხვდებიან თბილისისა და გაგრის საფეხბურთო სკოლების წარმომადგენელთა ნაკრები გუნდები.

თბილისი — მეკარე ზალო კოლეა, მცველი რობერტ ბენდელიანი, ნახევარმცველები რომან ბენდელიანი, ანდრეი ბობუა, ერთის გვარი არ მახსოვს და თავდამსხმელი ზაზა ბენდელიანი, გუნდის კაპიტანი.

გაგრა — მეკარე მალხაზ ხარჩილავა, მცველი ყურმა სილაგაძე, ნახევარმცველები გია ლლონტი, ენრიკო ვიქია, ანის გრეკი, თავდამსხმელი რაინდი ლლონტი, გუნდის კაპიტანი.

დაიწყო თამაში. ჩორნა თან მსაჯობდა და კომენტატორობდა თანაც.

მიდიოდა უშეღავათო, ბავშვური ბრძოლა... შეიძლება ბევრმა გაგრელმა გაიხსენოს ის დღე — ვინც კი გზაზე გაიარა, თითქმის ყველამ გააჩერა — ეს რა აჟიოტაჟია, რა ხდება ასეთით.

ყიჟინითა და სტენით ხვდებოდნენ აივნებზე გამოსული დამსვენებლები და ეზოში შეკრებილი ფეხბურთის თაყვანისმცემლები ყოველ გატანილ გოლს თუ შექმნილ საგოლე მომენტს...

ამას რომ ვამბობ, მეტირება... მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ცრემლი არავის უნახავს და ვეცდები, არავის ვანახო.

იმ პატარა ფეხბურთელებიდან, ვინც წედან ვახსენე, ხუთი მათგანი სამაჩაბლო აფხაზეთის ომებს ემსხვერპლა: გია ლლონტი, ყურმა სილაგაძე, რომან ბენდელიანი, რობერტ ბენდელიანი, ზაზა ბენდელიანი...

იმ დღეს თბილისმა მოიგო თუ გაგრაიმ, ამას რა მნიშვნელობა აქვს...

მერე ვისხედით მე და შოთა სუფრასთან. ის ორი სტუმარი აღარ მოსულა და ნათელაც შემოგვიერთდა, ბავშვები რომ მოასვენა...

ჩამოთვლილი ბიჭების გარდა, ამქვეყნად აღარ არიან ჩემი ნათელა — ზაზას დედა და ჩემი შოთა — რობერტის და რომანის მამა...

ვილი გოგოჩაძის მოგონება:

მისივე მხსნის სახელობის საფეხბურთო სკოლა „აზაზას“ მფარობელი

ეს ოცი წლის ამბავია დაახლოებით. საერთაშორისო ტურნირი ტარდებოდა გიორგი სიჭინავას ხელმძღვანელობით. ჩავდიოდით გაგრაში ესე ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში. მაშინ უცხოურ გუნდებს არ უშვებდნენ, არც ჩვენ გვიშვებდნენ და ჩამოდიოდნენ რუსეთიდან, მოსკოვის „დინა-

მო“, „ცეკესკა“, ნაკრები, სხვადასხვა რესპუბლიკებიდან. აღარ მახსოვს ზუსტად, თერამეტი გუნდი მაინც გროვებოდა... ცარიოვი ჩამოდიოდა თავისი გუნდით...

მოკლედ, უმაღლეს დონეზე მიმდინარეობდა ეს ტურნირი.

ძალიან კარგი კოლექტივი შექმნეს სიჭინავამ და კუჭუხიძემ. მწვრთნელებიც, გაგინარია, კარგი ჰყავდა. მოედანი ხომ ჩინებული ჰქონდათ.

ჩადიოდნენ ბავშვები, კაი სასმელი, კაი საჭმელი...

მე, მაგალითად, ვჩერდებოდი აფხაზის ოჯახში. ჩემს გარდა და ჩემი ბავშვების გარდა, მშობლები მოდიოდნენ კიდევ: მუღლე და ქალიშვილიც მიმავდა და როგორი ამბავია, ერთი აფხაზის ოჯახში ვცხოვრობდით ოცდაათამდე კაცი. ეს აფხაზი დიასახლისი ცივ ნიავს არ გვაკარებდა პირდაპირ — ყველას ურეცხავდა, სადილვახშმებს გვიმზადებოდა... ვერე ნათესავი თუ იზრუნებდა ჩვენზე, ახლო ნათესავი.

მაშინ შევაგმინე ზაზა ბენდელიანი და მამამისიც გავიცანი.

ზაზა თამაშობდა გაგრის ნაკრებში, კარგი გუნდი ჰყავდათ იქ. თამაშ კუჭუხიძემ წვრთნიდა, ფეხბურთის დიდი მომადვე.

გაგრაში, ერთხელ, იცი, ზაზამ რა ქნა? ფინალია და წაიღო, წაიღო ბურთი, კუთხურის ხაზიდან დაარტყა, დაატრიალა რაღაცნაირად და ძალიან ისეთი, მწარე ბურთი შევიდა ჩვენს კარში, რომ დღესაც არ მავიწყდება. რაღაცნაირი დახვეული ბურთი იყო, ძალიან მაკვარანცხული...


დასავეს გაუტანა ეგეთი გოლი ჰოლანდიელმა ხაზიდან.

აი, ესეთი ბურთი შეავლო ზაზამ. მაშინ გაგრაიმ აიღო თასი...

არა, მაინც რა იყო ის, კუთხურის ხაზიდან დაარტყმა როგორ ამოტრიალდა, როგორ დაბზრიალდა და ციმციმ როგორ ჩაეშვა კარში...

არა, კაცო, მეკარე რა შუაშია. მეკარე მყავდა შესანიშნავი, მერე „გურიაში“ ითამაშა, „დინამოშიც“ იყო, თუ გახსოვს, ვანი ბერაძე... ის არაფერ შუაში იყო, წინაც არ

1978 წელი. რიწის ტბა. ზაზა დასთან, ვერიკოსთან ერთად



მდგარა; ის რას იფიქრებდა, ბურთი თუ მოუხვევდა. არადა, მოუხვია და წავაგეთ ფინალი...

მაგრამ მანამდე საინტერესო რაღაცა მოხდა იმ თამაშზე.

გაცხარებული თამაშია და დანიშნეს პენალტი ჩვენსკენ. სწორედ ამ დროს მთელი მოედანი გადაირბინა ერთმა ძაღლმა, ლამის იმათი კარიდან წამოვიდა, გადმოჭრა სტადიონი და მაინცდამაინც „ავაზას“ შტანგას არ მიაშარდა, კაცო?!

ჰოდა, სწორედ იმ კუთხეში გაიტანა ზაზამ მთელი გოლი, თანაც რა გოლი — ოცი წელიწადია სიზმარში ვხედავ. მეკარე მე ვარ და ვიცი, ვერ ავიღებ ვერაფრით.

ასე მოვიდა ზაზა „ავაზაში“.

ჯუბაპერ ბენდელიანის მოგონება:

ერთ დღეს შინ მომაკითხა მილიციის პოლკოვნიკმა, თემურ მესხმა. ახლა ეს კაცი საბურთალოს პურის ქარხნის დაცვის უფროსია. და მითხრა — შენი შვილი მიმამ წაიყვანა სახლში და ნუ შეგეშინდება, თუ დაიკვიანებსო. ისე, თუ დრო აქვს, მოვიდეს ჩემთან, ვუპატიუებო.

ვისაც მიმას თამაში სტადიონზე უნახავს, დამერწმუნება, რომ მასთან შეხვედრა დიდ რამეს ნიშნავს. აბა, ამ შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდი!


სანამ მოვიფიქრებდი, რა მივეტანო მე-თქი, თემურმა გამაფრთხილა — პირველად მიმასთან რომ მიდიხარ, ძღვენი არ უნდა მიუტანო, თორემ შეგარცხვენსო.

ნიკოლაი ნიკოლაიძის ტონობით კონიაკი ვასვი და ყველა ქართველისთვის სასახელი კაცს ერთი ყუთი შამპანური რომ მივართვა, რატომ უნდა გამიბრაზდეს — ეს ხომ ქართული წესია მეოქო.

მაშინ ვეღარ მივიყვანე მიმასთანო.

მოკლედ, ხელცარიელი მივედით დილოში. შევედით ეზოში და ვხედავ, ჩემს ზაზას მიმა რაღაც ილეოს უჩვენებს და თან უხსნის კიდევ, რომ დაგვინახა, ჩვენსკენ წამოვიდა.

1991 წელი, კარში ყოფნისას



თემურმა უთხრა, ზახას მამა არისო.
მომესალმა და მკითხა, სიომა როგორ
არისო.

სიომას, ხომ იცი, ვლადიმერ ბარჩიას
ქმადნენ. ისე მკითხა, თითქოს ამ დილას
ჩამოვსულიყავი გაგრიდან.

აუეხსენი, რომ სამი თვეა იქიდან დაბ-
რუნდი და მერე იქ აღარ ვყოფილვარ. მერე
ჩემს მეგზურს რაღაც ანიშნა, თან რაღაც
მოდრაობა შეუქო ზახას.

მე ძალიან მიკვირდა ამდენი გრანტიის
თუ მარმარილოს ძეგლები ეზოში, მაგრამ
შეკითხვა ვეღარ შევბედე.

შემიყვანა საჭაშნიკოში, გაიშალა სუფრაც
და რომ ვკეიფობთ, შეკითხება — შენ იცი,
საქართველოში ყველაზე დიდი ფეხბურთე-
ლი ვინ იყო? ეს უნდა იცოდეს, ფეხბურ-
თელის მამა ხარ შენო.

ჩამოვუთვალე — პაიჭაძე, დიდიბერიძე,
მეტრეველი, ხურცილავა, ჩივაძე, ყიფიანი...
არა, არაო, გაიძახის.

მესხი მეთქი.

არაო, მითხრა და თემურს უთხრა, შეა-
ვსე ჭიქებიო.

ასხამს ჩემი მეგზური შამპანურს და ცო-
ტა გაბრაზებული ვარ უკვე. მიშა მიყუ-
რებს და არც მიყურებს, საღღაც შორს
იხედება თავისი ჭკვიანური, აზრიანი გამო-
ხედილი. ამ გამოხედვამ ხომ შემოსვლის-
თანავე დამაბნია.

მოკიდა ბოლოს შევსებულ სასმისს ხე-
ლი, წამოდგა ფეხზე და ავყვივით ჩვენც, რა
თქმა უნდა.

ეს გაუმარჯოს ყველაზე დიდ ფეხბურ-
თელს და კაცსო, ჩემს შოთას, იამანიძე-
სო! მომიჭახუნა და შევსვით.

მე მონუსხულივით ვიჯექი იმ სუფრაზე.
ვისთან არ მისაუბრია, ვის არ შევხვედრი-
ვარ, მაგრამ ასეთი გავლენა არავის მოუხ-
დენია ჩემზე.

დიდი ფეხბურთელიო, მითხრა — არ შე-
იძლება სულელი იყოსო. შეიძლება უზრ-
დელი იყოს, უჭკუო კი არაო!

ამ დროს კიდევ ერთი სტუმარი შემოგ-
ვესწრო, დიდი მოქიფი და შეყვარებული



„ავაზა“ ტაშკენტის ტურნირის მოგების შემდეგ, საღაც ზახა საუკეთესო
ბომბარდირი გახდა. ფოტოზე ბენდელიანი მარცხნიდან მეოთხე დგას

ლევენდარულ მიშა მესხზე.

მიშამ მომდევნო ჭიქით ზახას სადღეგრ-
ძელო ასწია. ეს იმისი მამაო, თან ჩემი
თავი გააცნო ახლადშემოსულს, ამისი ბი-
ჭიცი შოთას მანერით თამაშობსო.

რომელი შოთასიო, იკითხა იმან.
იამანიძისო.

მართლაო, კაცო? გაიოცა იმან.

ჰო, წაგავსო, დაუღასტურა მიშამ, დღეს
გადავწყვიტეთ, ტაშკენტის ტურნირში ვა-
თამაშოთ და რომ დაბრუნდება იქიდანო, —მე
მომმართაო,— მერე გეტყვი, რისი გამკეთებელი
იქნებაო. მაღლობა გადავუხადე.

რა მაღლობაო, მიშამ, მოგვწონს და სა-
შუალებას ვაძლევთ, თავი გამოიჩინოსო...

მერე ზახა ხშირად იხსენებდა ხოლმე ლე-
ვენდარული მიშა მესხის სიტყვებს, რამაც
ძალიან დიდი ზეგავლენა მოახდინა მასზე.

ვილი ბოგოჩაძის მოგონება:

მე სამოცდარეიანები მყავდა და ზახა იყო
ერთი წლით პატარა, მაგრამ გამონაკლი-
სის სახით მივლე მანც. ესეთი, ჩადგმული
ბიჭი იყო, რაღაცნაირი... ძლიერი დარტყმა
ჰქონდა. უფრო ძალისმიერი ეთქმოდა. ჩუმი
ბავშვი იყო, მონღომებული. რასაც მოსთხვდი
ვარჯიშზე, ცდილობდა შეესრულებინა. წა-
მყვანი ფეხბურთელი იყო გაგრაშიც და აქაც,
„ავაზაშიც“.

მაგრამ თავისებური მიდგომა უნდოდა.
ცოტა სითბო ჭირდებოდა. მაშინ, კაცო, ის
გოლი რომ გაგვიტანა კუთხურის ზახიდან
გაგრაში, კი არ დაგუბღვირე, პირიქით, შე-
ვაქე და ბავშვსაც სხვანაირი დამოკიდებუ-
ლება გაუჩნდა უკვე. ისე მოწონდა ჩემთან
ვარჯიშში, სამოცდარეიანებში რომ გადა-
ყავდათ და მართმევდნენ, აღარ უნდოდა წა-
სვლა. თუ გუნებაზე ვერ იყო, არ ითამაშე-
ბდა. ხუთ წუთში შევატყობდი ხოლმე და
გამოვავებდი მინდვრიდან...

სივარეტი? ღერი არ მოუწევია. 80-90
ბავშვი მყავდა მაშინ და არც ერთს არ
მოუწევია.

ხშირად დავდიოდით რუსეთში, სხვადა-
სხვა სტილის გუნდებს ვეთამაშებოდით. რით

იყო ცუდი, ოსტატობა მატულობდა. ეროვ-
ნული, ეროვნული, მაგრამ ფეხბურთი და
ეროვნული?! არ გამოვა...

ტაშკენტში მყავდა ვიყვანილი „ავაზა“, 12-
13 წლის ბავშვები არიან და ნახევარფინა-
ლში, კარგად ვეღარ ვიხსენებ... მგონი, რუ-
სეთის გუნდს ვეთამაშებოდით. ტარდებოდა
ერთ-ერთი ფეხბურთელის სახელობის სა-
კაპშირო ტურნირი.

ცენტრალურ სტადიონზე იყო ფინალი,
უმაღლეს დონეზე. ტაშკენტს ვეთამაშებო-
დით და მოვითხოვე ტელევიზია მოსული-
ყო, რათა მსაჯები ვეღარ მიმხრობოდნენ.
პირველი ტაიმი 1:0 მოვუგეთ, მერე ტაი-
მში გაათანაბრეს, მაგრამ დამატებით დრო-
ში მოვუგეთ. მაშინაც ზახამ გადაგვარჩინა.

თუმცა ნახევარფინალი უფრო საინტე-
რესოდ მახსოვს. E! იყო ბელორუსიის გუ-
ნითან და ხელნაჩენული მოგტრიალდი, სა-
მი წუთია დარჩენილი, მოვიდე ჩემს ბა-
ვშვებს ხელი და ვბუზღუნებ — ასეთი ბე-
დი მაქვს სულ... დიდი ანგარიშით უნდა
მომეგო და...

ამ დროს მესმის ვივილ-ხივილი. მოვი-
ხედე და ბურთი იმათ ბაღეშია გახვეული!
მოკლედ, ზახამ ბედის საძღურავის ბოლო-
მდე თქმა აღარ მაცალა, ბოლო წუთებზე
ცენტრიდან დაარტყა და ბურთი ფეხებშუა
გაუძვრინა მეკარეს. აი, ამან გაგვიყვანა ფი-
ნალში...

აქ არავინ ელოდა, რომ თასს ჩამოვიტა-
ნდით და გადაირიგენ სიხარულით ყველა-
ნი.

მერე აქედან გადავიდა „ნორჩ დინამოე-
ლში“. თამაშობდა ნახევარდაცვა, მაგრამ
დააყენეს დაცვაში. ისე, არ იყო სწორი გა-
დაწყვეტილება, ზახა უფრო ნახევარმცვე-
ლი იყო, ძალიან მოძრაყო... საბჭოთა კავში-
რის ნაკრებშიც უკან დასწიეს რატომღაც
მარჯვენა მცველად და ამაზე თვითონ ბა-
ვშვიც ნერვიულობდა. ამისთანა ნახევარ-
მცველს რომ ვერ გამოიყენებ, ცოდვაა.
ძლიერი გუნდი თუ ვინდა ვყავდეს, ნახევარ-
დაცვის ზახი უნდა გქონდეს მობილური.

მერე ეს ომი, უბედურება. მაგის აშხავი
რომ გავიგე, ძალიან განვიცადე — წლო-
ბით ვზარდე და რისთვის...


ზახას პრიზები



1966



პაპუნა კედია



აშენი არასდროს არაფერზე უკმათითა... ყოველ შემთხვევაში, საფეხბურთო სამყაროში. ეს გახლდათ ჩემპიონატი ვერც ვოდებული „უემპლის გოლით“ ანუ მარადიული კითხვით:

გადაკვეთა კი ფინალურ შეხვედრაში ინგლისელი ჯეფ პერსტის დარტყმულმა ბურთმა გერმანელების კარის ხაზი? ოფიციალური პასუხი ასეთია: შვეიცარიელი მსაჯის ვოლფრედ დინსტის გადაწყვეტილებით (ხოლო გადაწყვეტილება აზერბაიჯანელი საბჭოთა თანამსაჯის, ტოფიკ ბახრამოვის შეფასებაზე გახლდათ დაფუძნებული) პერსტმა გოლი გაიტანა და მასპინძელი გუნდი დაწინაურდა — 3:2. მას შემდეგ ათწლეულები გავიდა. ყოველმა ათწლეულმა თავისი კომპიუტერული სიახლე შემოგვთავაზა და არ ყოფილა სიახლე, რომლითაც ბახრამოვის შემოწმება არ ეცადათ. ბახრამოვი კარგა ხანია გარდაიცვალა, ტექნოლოგიური პროგრესი კი ჯიუტად ცდილობს ყველაფერს მისი თვალბრუნებით უყუროს და ხან ერთ პასუხს ამბობს, ხანაც მეორეს...

...1966 წლისათვის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს უკვე შეძენილი ჰქონდა დღევანდელი ანუ საყოველთაო, გლობალური მოვლენის მნიშვნელობა. ამიტომაც შეემთხვა ფიულ რიმეს თასს ასეთი რამ: ჩემპიონა-

ტის წინ ნიკეს ქანდაკება ლონდონში, გამოფენაზე ჩაიტანეს და ის... გაქრა, მოიპარეს. მსოფლიო მსუბუქმა დაბნეულობამ მოიცვა, თუმცა ორი თუ სამი დღის მერე სასიხარულო ამბავმა ააფორიატა: თურმე ნუ იტყვით და, ის, რაც ვერ შეძლო ტექნიკით აღჭურვილმა, ძიების საქმეში დახელოვებულმა „სკოტლანდ იარდმა“, მოახერხა ძაღლმა, სახელად პიკლზმა, რომელმაც თასი ლონდონის სამხრეთ გარეუბანში, ბუჩქში აღმოაჩინა.

პიკლზის ნაპოვნი თასი სათანადო ადგილას შემოდეს და ჩემპიონატიც გახურდა. გახურდა პელეს წინააღმდეგ ძალისმიერი თამაშით. კერძოდ, ის ჯერ ბულგარელებმა დააშავეს, რის გამოც უნგრეთთან ვერ ითამაშა, მერე კი პორტუგალიელებმა. პელეზე ერთობ დამოკიდებული ბრაზილია ტიტულის ზედიზედ მესამედ მოპოვებაზე ოცნებას გამოეთხოვა. მსოფლიოს ჩემპიონი პირველივე ეტაპიდან ჩამოშორდა შეჯიბრებას.

პორტუგალია ვახსენეთ და, უნდა ითქვას, რომ 1966 წელს ეს ქვეყანა პირველად მოხდა მსოფლიოს ჩემპიონატზე არადა, პორტუგალიელებს შესარჩევ შეჯიბრებაში იოლი მეტოქეები არ შეხვედრიათ. თუნდაც ოთხი წლის წინანდელი ფინალისტის, ჩეხოსლოვაკიის დასახელებსც კმარა ამის დასტურად.

თუმცა ფავორიტი, ბუნებრივია, ინგლისი გახლდათ. ის ხომ საკუთარი ხალხისა და BBC-ს ტელეკამერების წინაშე თამაშობდა. შედეგიც შესაბამისი გამოდგა: ბრიტანელთა ნაკრებს ჯგუფში გოლი არ გაუშვია; გოლი არ გაუშვია მეოთხედფინალში არგენტინასთანაც და მხოლოდ ნახევარფინალში, დიდმა პორტუგალიელმა ეუსებომ, ისიც პენალტით, განაახლებინა თამაში ცენტრიდან.

1966 წლის ჩემპიონი ინგლისის ნაკრები: სტივენსონი (მწვრთნელის ასისტენტი), სტაილზი, პანტი, ბენესი, ჯ.ჩარლტონი, კოენი, უილსონი, ალფ რამსი (მწვრთნელი). სხედან: პიტერსი, პერსტი, მური, ბოლი, ბ.ჩარლტონი



პირველი ჯგუფი

11.07	ინგლისი — ურუგვაი	0:0
13.07	საფრანგეთი — მესიკა	1:1 (0:0)
15.07	ურუგვაი — საფრანგეთი	2:1 (2:1)
16.07	ინგლისი — მესიკა	2:0 (1:0)
19.07	მესიკა — ურუგვაი	0:0
20.07	ინგლისი — საფრანგეთი	2:0 (1:0)
ინგლისი	3 2 1 0	4:0 5
ურუგვაი	3 1 2 0	2:1 4
მექსიკა	3 0 2 1	1:3 2
საფრანგეთი	3 0 1 2	2:5 1

მეორე ჯგუფი

12.07	გვრ — შვეიცარია	5:0 (3:0)
13.07	არგენტინა — ესპანეთი	2:1 (0:0)
15.07	ესპანეთი — შვეიცარია	2:1 (0:1)
16.07	გვრ — არგენტინა	0:0
19.07	არგენტინა — შვეიცარია	2:0 (0:0)
20.07	გვრ — ესპანეთი	2:1 (1:1)
გვრ	3 2 1 0	7:1 5
არგენტინა	3 2 1 0	4:1 5
ესპანეთი	3 1 0 2	4:5 2
შვეიცარია	3 0 0 3	1:9 0

მესამე ჯგუფი

12.07	ბრაზილია — ბულგარეთი	2:0 (1:0)
13.07	პორტუგალია — უნგარი	3:1 (1:1)
15.07	უნგარი — ბრაზილია	3:1 (1:1)
19.07	პორტუგალია — ბულგარეთი	3:0 (2:0)
20.07	უნგარი — ბულგარეთი	3:1 (2:1)
პორტუგალია	3 3 0 0	9:2 6
უნგარი	3 2 0 1	7:5 4
ბრაზილია	3 1 0 2	7:6 2
ბულგარეთი	3 0 0 3	1:8 0

მეოთხე ჯგუფი

12.07	სსრპ — ჩ. კორეა	3:0 (2:0)
13.07	იტალია — ჩილე	2:0 (1:0)
15.07	ჩ. კორეა — ჩილე	1:1 (0:1)
16.07	სსრპ — იტალია	1:0 (0:0)
19.07	ჩ. კორეა — იტალია	1:0 (0:0)
20.07	სსრპ — ჩილე	2:1 (1:1)
სსრპ	3 3 0 0	6:1 6
ჩ. კორეა	3 1 1 1	2:4 3
იტალია	3 1 0 2	2:2 2
ჩილე	3 0 1 2	2:5 1

მეოთხედფინალი

23.07	ინგლისი — არგენტინა	1:0 (0:0)
23.07	გვრ — ურუგვაი	4:0 (1:0)
23.07	პორტუგალია — ჩ. კორეა	5:3 (2:3)
23.07	სსრპ — უნგარი	2:1 (1:0)

ნახევარფინალი

25.07	გვრ — სსრპ	2:1 (1:0)
26.07	ინგლისი — პორტუგალია	2:1 (1:0)

მესამე ადგილი

28.07	პორტუგალია — სსრპ	2:1 (1:1)
-------	-------------------	-----------

ფინალი 30.07

ინგლისი 4:2 გვრ

0:1 პალერი(12); 1:1 პერსტი(18); 2:1 პიტერსი(78); 2:2 ვე-ბერი (90); 3:2, 4:2 პერსტი (100, 120)

ინგლისი: გორდონ ბენესი, ჯორჯ კოენი, ჯეკი ჩარლტონი, ბობი მური, რეი უილსონი, ნორბერტ სტაილზი, მარტინ პიტერსი, ალან ბოლი, ბობი ჩარლტონი, ჯეფ პერსტი, როჯერ პანტი


გვრ/მეოთხე ადგილი: ალფ რამსი

გვრ: პან ტილკოვსკი, პორსტ დიტერ პოიტგესი, ვილი მულცი, ვოლფგანგ ვებერი, კარლ-ჰაინც შნელინგერი, ფრანც ბეკენბაუერი, ჰელმუტ პალერი, ვოლფგანგ ოვერატი, უეი ზელერი, ზიგფრიდ პედლი, ლოთარ გმერინი

გვრ/მეოთხე ადგილი: ჰელმუტ შონი

მსაჯი: გოტფრიდ დინსტი (შვეიცარია)


ცხრე ჩემპიონატი „ნიკეს“ ანუ ჟოულ რიმეს თასისთვის ბოლო ასპარეზობა გამოდგა. მიზეზი: ბრაზილიის ჯადოსნურმა ნაკრებმა ის 12 წელიწადში



საინტერესო და იმ დროისთვის სენსაციური გახლდათ ჩრდილოკორეელთა მეოთხედფინალში გასვლაც. ის კი არა, კორეელებმა მეოთხედფინალიდან ლამის იყო პორტუგალიელებიც კი იფრინეს — 3:0-ს იგებდნენ, მაგრამ 3:5 წააგეს და ჯგუფში ადაროკითხავთ, ვინ ჩატოვებს? ვინ და იტალიის გუნდი. უფრო ზუსტად, დაამარცხეს კიდევ „სკუადრა აპურა“ 1:0

ხოლო ფინალში... რა მოხდა ფინალში, ამას დღემდე არკვევენ უახლესი ტექნიკის საშუალებით. თუმცა, ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე მხარე ის გახლავთ, რომ ინგლისმა ვფრ-ს 4:2 მოუგო, ჯეფ პერსტმა ჰეთ-თრიქი შესარულა და პიკლზის ნაპოვნი „ნიკეს თასი“ ბრიტანეთის დედოფალმა ელიზაბეტ მეორემ გუნდის კაპიტანს ბობი მურს გადასცა.

იყო თუ არ იყო — ჯეფ პერსტის კოლზე, რომელსაც სამი რაკურსით ვთავაზობთ, აგერ უკვე 36 წელიწადია დავობენ



მესამედ მოიბოვა და ძლიერთა ამა ქვეყნისა სამუდამოდ დაუტოვეს მათი უძლეველობის ეპოქის სიმბოლოდ. მაგრამ მარადიულობასა და სიმბოლოს ამ ყოველმხრივ თავისებურ ქვეყანაში თურმე მრავალი მნიშვნელობა ჰქონია. რას ვგულისხმობთ? იმას, რომ ისევე როგორც ინგლისში, გამარჯვების ქაღალდითის ქანდაკება ბრაზილიაშიც მოიპარეს, ოღონდ, ინგლისისგან განსხვავებით, იქაურ ქურდებს იგი ბურჟუაზიაში არ დაუმალავთ და, შესაბამისად, მოსამარდავად მისუნსულებულ ბრაზილიელ ძაღლს მისი პოვნის პატივი არ ხვდომია წილად. ჟოულ რიმეს თასი სამუდამოდ გაქრა, უფრო სწორად, ალბათ სახე იცვალა და დღეს კოვზებად ან ბეჭდებად ისეა დანაწევრებული, რომ ამის შესახებ ამ ნივთების პატრონებმაც არაფერი იციან.

მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონატი ისტორიას ერთი სიახლითაც შემორჩა: ის გახლდათ პირველი საფეხბურთო შეჯიბრება, რომლის დროსაც მსაჯებს ჯიბეში ორი უცნაური რამ — წითელი და ყვითელი ფერის, მართკუთხა ფორმის ქაღალდები ედოთ. მას შემდეგ კი დაიწყო და დაიწყო... თუმცა, პირველი წითელი ბარათი 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არ ამოულიათ. მსოფლიოს პირველობების ისტორიაში პირველი წითელი ბარათი ოთხი წლის შემდეგ იხილეს, ოღონდ ამაზე მერე ვთქვათ. რაც შეეხება ყვითელ ბარათს, ამაზე ზუსტად ვერაფერს მოგახსენებთ.

ბრაზილიელთა კაპიტანი კარლოს ალბერტო თასით ხელში



ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, არ არის გამორიცხული, რომ იგი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატზე მოთამაშე ქართველ ფეხბურთელთანაც იყოს დაკავშირებული. მექსიკა ვახსენეთ... დიას, 1970 წლის პირველობას მექსიკამ უმასპინძლა და იღბლიანადაც — უნდა ითქვას, რომ, წინა ორი ჩემპიონატივსგან განსხვავებით, იქ ძალადობა საერთოდ არ შე-

1970

უნიშნავთ, ყველაფერი წმინდა სპორტული უნის ფარგლებში ჩაეტა.

და მექსიკის სტადიონებზე ისევ გამოჩნდა პელე, რომელზეც მანამდე ამბობდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატებს აღარასდროს გაეკარებო. გამოჩნდა პელე და მასთან ერთად ნაკრები, რომელიც სრულყოფილი გუნდის სახესთან დღემდე ყველაზე ახლოს დგას: კლოდიალო, გერსონი, რიველინი, ტოსტაო, ჟაიროზინიო, კარლოს ალბერტო...

ფინალში, „ატტეტკას“ სტადიონზე, ბრაზილია ცეკვავდა. ეს იყო სპექტაკლი და არა ფეხბურთი. იტალია პირველად დამარცხდა...

კიდევ, 1970 წლის პირველობაზე გამოჩნდა ფეხბურთელი, რომელმაც უკლებლივ ყველა შეხვედრაში გაიტანა გოლი. ეს ფეხბურთელიც ბრაზილიელი გახლდათ. მას ჟაიროზინიო ერქვა.

და ხუთი გოლი დამატებით დროში? ეს ისტორიული შედეგი გერმანიის და იტალიის ნახევარფინალურ შეხვედრაში აღირიცხა.

შეხვედრა „სკუადრა ატურაჲ“ მიიღო — 4:3.


ასე და ამგვარად, თუკი 1966 წელს ინგლისში გამართული მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გადიდებდა აზრი, რომ ფეხბურთი უღამაზო სანახაობად ყალიბდებოდა, 1970 წლის პირველობამ სრულიად საპირისპირო განწყობა შეა, სწორედ მაშინ გაჩნდა გამოთქმა „შეხვედრა თამაში“, რომელიც ყველაზე ხშირად და ლამაზად ინგლისურ ენაში გამოიყენება. იმ შეჯიბრების სამი მატჩი კლასიკად იქცა და ყველა დროის ყველაზე ამაღელვებელ თამაშებადაც კი დასახელდა. ეს იყო მატჩები: ინგლისი — ბრაზილია, ინგლისი — გერმანია და იტალია — გერმანია. ჩემპიონატზე გავიდა სრულიად ფანტასტიკური გოლი: პელემ 50 მეტრიდან დაარტყა და ბურთი ჩეხი მეკარის ივო ვიქტორის კარში შეაგდო.

ბოლოს ცოტა უფრო ვრცლად ნახევარ-

ფინალზე უკვე ორჯერ რომ ვახსენებთ. ეს გახლდათ გერმანელთა და იტალიელთა დაპირისპირება, რომლის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა. ამ შეხვედრის გვირგვინი დამატებითი დრო გამოდგა, სადაც, ხან ერთი გუნდი იყო წინ, ხან მეორე. განსაკუთრებული აღფრთოვანება ფრანც ბეკენბაუერმა გამოიწვია. მხარამოვლებული საუპერვარსკვლავი, ტანზე მიკრული ცალი ხელით, ვაჟკაცობისა და ოსტატობის საოცარ მაგალითს აჩვენებდა, მაგრამ იმ დღეს გერმანელებს გამარჯვება არ ეწერათ. ფინალში „სკუადრა ატურაჲ“ გავიდა, იქ კი...

იქ კი მსოფლიომ ბრაზილიელთა ცეკვა იხილა — 4:1 ჯავახოსური გუნდის კაპიტანმა, კარლოს ალბერტომ სამუდამოდ ჩაიბარა ერთი ხნის შემდეგ სამუდამოდ გამქრალი „ფიულ რიმეს“ თასი.

თანაგუნდელთა მხრებს მიყრდნობილი გულჩვილი პელე, რასაკვირველია ტიროდა. ის იმ დღეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს მესამედ იღებდა და იმავდროულად ემშვიდობებოდა უდიდეს საფეხბურთო შეჯიბრებას. ოთხი წლის შემდეგ, გერმანიაში იგი აღარ გამოჩენილა.



ფინალში იტალიელთა კარში პირველი გოლი პელემ შეაგდო (ზედა ფოტოზე) და იზეიმა (ქვედა ფოტოზე)



პირველი ჯგუფი

31.05 მმსიკა — სსრკ	0:0
03.06 ბელგია — სალვადორი	3:0 (1:0)
06.06 სსრკ — ბელგია	4:1 (1:0)
07.06 მმსიკა — სალვადორი	4:0 (1:0)
10.06 სსრკ — სალვადორი	2:0 (0:0)
11.06 მმსიკა — ბელგია	1:0 (1:0)
სსრკ	3 2 1 0 6:1 5
მექსიკა	3 2 1 0 5:0 5
ბელგია	3 1 0 2 4:5 2
სალვადორი	3 0 0 3 0:9 0

მეორე ჯგუფი

02.06 ურუგვაი — ისრაელი	2:0 (1:0)
03.06 იტალია — შვედეთი	1:0 (1:0)
06.06 იტალია — ურუგვაი	0:0
07.06 შვედეთი — ისრაელი	1:1 (0:0)
10.06 შვედეთი — ურუგვაი	1:0 (0:0)
11.06 იტალია — ისრაელი	0:0
იტალია	3 1 2 0 1:0 4
ურუგვაი	3 1 1 1 2:1 3
შვედეთი	3 1 1 1 2:2 3
ისრაელი	3 0 2 1 1:3 2

მესამე ჯგუფი

02.06 ინგლისი — რუმინეთი	1:0 (0:0)
03.06 ბრაზილია — ჩეხოსლოვაკია	4:1 (1:1)
06.06 რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია	2:1 (0:1)
07.06 ბრაზილია — ინგლისი	1:0 (0:0)
10.06 ბრაზილია — რუმინეთი	3:2 (3:1)
11.06 ინგლისი — ჩეხოსლოვაკია	1:0 (0:0)
ბრაზილია	3 3 0 0 8:3 6
ინგლისი	3 2 0 1 2:1 4
რუმინეთი	3 1 0 2 4:5 2
ჩეხოსლოვაკია	3 0 0 3 2:7 0

მეოთხე ჯგუფი

02.06 პერუ — ბულგარეთი	3:2 (0:1)
03.06 გვრ — მაროკო	2:1 (0:1)
06.06 პერუ — მაროკო	3:0 (0:0)
07.06 გვრ — ბულგარეთი	5:2 (2:1)
10.06 გვრ — პერუ	3:1 (3:1)
11.06 ბულგარეთი — მაროკო	1:1 (1:0)
გვრ	3 3 0 0 10:4 6
პერუ	3 2 0 1 7:5 4
ბულგარეთი	3 0 1 2 5:9 1
მაროკო	3 0 1 2 2:6 1

მეოთხედფინალი

14.06 ურუგვაი — სსრკ	1:0 დ.დ. (0:0)
14.06 იტალია — მმსიკა	4:1 (1:1)
14.06 ბრაზილია — პერუ	4:2 (2:1)
14.06 გვრ — ინგლისი	3:2 დ.დ. (0:1, 2:2)

ნახევარფინალი

17.06 იტალია — გვრ	4:3 დ.დ. (1:0, 1:1)
17.06 ბრაზილია — ურუგვაი	3:1 (1:1)

მესამე ადგილი

20.06 გვრ — ურუგვაი	1:0 (1:0)
---------------------	-----------


ფინალი 2.06

ბრაზილია 4:1 იტალია
 1:0 პელე (19), 1:1 ბონინსენია (38), 2:1 გერსონი (66), 3:1 ჟაიროზინიო (70), 4:1 კარლოს ალბერტო (87)
 ბრაზილია: ფელიქსი, კარლოს ალბერტო, ბრიტო, პაუკა, ვერალო, კლოდიალო, გერსონი, რიველინი, ჟაიროზინიო, ტოსტაო, პელე
 მმსიკა: მაროკო ფორვე ლობო ზაგალი
 იტალია: ენრიკო ალბერტოზი, ტანჩინო ბურგინი, მარო ბურტინი (ანტონიო იულიანო 74), რობერტო როსატო, ჯიაკინტო ფაკეტი, პიერლუიჯი სერა, ანჯელო დომენგინი, სანდრო მაკოლა, ჯანპაროლო დე სისტი, ლუიჯი რივა, რობერტო ბონინსენია (ჯანი რივერა 84)
 მმსიკა: ფულვიო ვალკარეჯი
 მსაჯი: რუდი გლიოკერი (გერ)

1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიის ნაკრები: კარლოს ალბერტო, ფელიქსი, პაუკა, ბრიტო, კლოდიალო, ვერალო, სხედან: ჟაიროზინიო, გერსონი, ტოსტაო, პელე, რიველინი (ჩამოთვლილი არიან მხოლოდ ფეხბურთელები)



1974



მს გახლდათ მასპინძლის მოგებული ჩემპიონატი. ეს იყო პირველობა, რომელშიც გამარჯვებულმა, გერმანიის ნაკრებმა, ბეჯითად, ფაციფუცის გარეშე, დაულაღვი სირბილით და მოთამაშეთა მიერ პოზიციების

ხშირი ცვლით მოიპოვა ფიფას ახალი თასი, სწორედ ის, რომლისთვისაც დღემდე იბრძვიან მსოფლიოს გუნდები. ამ პირველობამ შვა ახალი ცნება: „ტოტალური ფეხბურთი“, რომლის სახეც იქნებ გერმანიის გამარჯვებულ ნაკრებზე მეტად ფინალში დამარცხებულმა პოლანდიის ეროვნულმა გუნდმა განსაზღვრა. იმ პირველობის დღეებში გერმანიის სტადიონებზე ბრწყინავდა სრულიად გენიალური პოლანდიელი იოჰან კრუიფი, ხოლო მეტოქეთა კარს დაუნდობლად ლაშქრავდა ყოვლად ლეგენდარული გერდ მიულერი.

კიდევ, იცით, რით იყო 1974 წლის პირ-

ველობა მნიშვნელოვანი? — ფერადი ტელევიზიით. ყუთს, რომელიც ფეხბურთის მოყვარულ მოსახლეობას შინ ედგა და რომელშიც წინა ჩემპიონატების გმირები სასწაულებს სწადიოდნენ, ახლა ფერები შეემატა. უფრო სწორად, შესაძლებელი გახდა ფერებიანი ყუთის შექმნა.

თუმცა, ტელევიზია ტელევიზიად და, გამოიცვალა საკუთრივ ჩემპიონატის ფორმატიც. ბოლი დროს შეჩვეული ჯგუფური ეტაპს პლუს პლეი-ოფი ჯგუფური ეტაპს პლუს მეორე ჯგუფური ეტაპით შეცვალეს.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ნიკეს“ ანუ „ფიულ რიმეს“ თასი ბრაზილიას თუ წარსულს ჩაჰპარდა, მის ნაცვლად კი კვარცხლბეკზე მოქანდაკე სილვიო გადანიგას შექმნილი პრიზი დააგანეს. თანაც, 1974 წლის პირველობის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ფიფაში განაცხადი 98-მა ქვეყანამ შეიტანა. ეს არნახული რაოდენობა იყო. შესაბამისად, გამოჩნდნენ დებიუტანტებიც: გდრ, ჰაიტი, ავსტრალია და ზაირი. ჩემპიონატზე ვერ მოხვდნენ უნგრეთი, ესპანეთი, საფრანგეთი და ინგლისიც;

და „გერმანია 74“-ის დაწყების წინ ფიფაში პრეზიდენტი შეიცვალა. მსოფლიო ფეხბურთს, პირველად ისტორიაში, სათავეში არაევროპელი კაცი ჩაუდგა — ალფ რამსეის თანამდებობა ბრაზილიელ ფოაი აველანეს ერგო.



გერმანელმა ბერტი ფოგოსმა პოლანდიელი იოჰან კრუიფი წააქცია, რის გამოც პენალტი დაინიშნა და ნეესკენსმა ახგარიში გახსნა

პაულ ბრაიტნერმა პენალტიოვე გაქციათ



ხოლო საკუთრივ შეჯიბრებაში... პირველი მეხი პირველი ჯგუფური ეტაპის მესამე ტურში გავარდა. როდესაც კომუნისტურმა გერმანიამ კაპიტალისტური დაამარცხა 1:0. ამ შედეგს ისეთი რეზონანსი ჰქონდა, რომ კაპიტალისტთა გუნდის კაპიტანი

გერდ მიულერმა პოლანდიელთა კარში ვადამწყვეტი გოლი გაიტანა — 2:1



ფრანც ბეკენბაუერი იძულებული შეიქნა საგანგებო თათბირი მოეწვია და შემდეგ ეროვნული ტელევიზიითაც გამოსულიყო, რათა საბჭოთა კავშირის კლანჭებს გადარჩენილ თანამოძმეთათვის მარცხის მიზეზები განემარტა. თუმცა, გვრ იმ განმარებულ თამაშამდე ორი გამარჯვებით უკვე გასული იყო შემდგომ ეტაპზე.

განსაკუთრებული ეფექტი მოახდინა პოლონეთის ეროვნულმა გუნდმა. ის საბოლოოდ შესამე ადგილზე გავიდა და მხოლოდ ერთ შეხვედრაში, ნახევარფინალში დამარცხდა, ისიც მასპინძელთან.

ფინალში კი... თუმცა სხვადასხვა ტელეარხზე მრავალჯერ გამოჩენილი ეს მატჩი ზედმეტი აღწერით შეიძლება მხოლოდ შეურაცხველი. ასე ვთქვათ: იმ დღეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.



1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის ნაკრები: მაიერი, მიულერი, გრაბოვსკი, ბრაიტნერი, შვარცენბეკი. სხედან: პონუსი, პინკესი, ბონჰოფი, ჰელმუტ შიონი (მწვრთნელი), ბეკენბაუერი, პოლცენბაინი, ფოგთსი, ოკერატი

პირველი ჯგუფური ეტაპი

პირველი ჯგუფი

14.06 გვრ — ჩილე	1:0 (1:0)
14.06 გვრ — ავსტრალია	2:0 (0:0)
18.06 გვრ — ავსტრალია	3:0 (2:0)
18.06 ჩილე — გვრ	1:1 (1:0)
22.06 ავსტრალია — ჩილე	0:0
22.06 გვრ — გვრ	1:0 (0:0)
გვრ	3 2 1 0 4:1 5
გვრ	3 2 0 1 4:1 4
ჩილე	3 0 2 1 1:2 2
ავსტრალია	3 0 1 2 0:5 1

მეორე ჯგუფი

13.06 ბრაზილია — იუგოსლავია	0:0
14.06 შოტლანდია — ზაირი	2:0 (2:0)
18.06 იუგოსლავია — ზაირი	9:0 (6:0)
18.06 შოტლანდია — ბრაზილია	0:0
22.06 ბრაზილია — ზაირი	3:0 (1:0)
22.06 შოტლანდია — იუგოსლავია	1:1 (0:0)
იუგოსლავია	3 1 2 0 10:1 4
ბრაზილია	3 1 2 0 3:0 4
შოტლანდია	3 1 2 0 3:1 4
ზაირი	3 0 0 3 0:14 0

მესამე ჯგუფი

15.06 ჰოლანდია — ურუგვაი	2:0 (1:0)
15.06 შვედეთი — ბულგარეთი	0:0
19.06 ჰოლანდია — შვედეთი	0:0
19.06 ბულგარეთი — ურუგვაი	1:1 (0:0)
23.06 ჰოლანდია — ბულგარეთი	4:1 (2:0)
23.06 შვედეთი — ურუგვაი	3:0 (0:0)
ჰოლანდია	3 2 1 0 6:1 5
შვედეთი	3 1 2 0 3:0 4
ბულგარეთი	3 0 2 1 2:5 2
ურუგვაი	3 0 1 2 1:6 1

მეოთხე ჯგუფი

15.06 იტალია — პაიტი	3:1 (0:0)
15.06 ავლონეთი — არგენტინა	3:2 (2:0)
19.06 ავლონეთი — პაიტი	7:0 (5:0)
19.06 არგენტინა — იტალია	1:1 (1:1)
23.06 არგენტინა — პაიტი	4:1 (2:0)
23.06 ავლონეთი — იტალია	2:1 (2:0)
ავლონეთი	3 3 0 0 12:3 6
არგენტინა	3 1 1 1 7:5 3
იტალია	3 1 1 1 5:4 3
პაიტი	3 0 0 3 2:14 0

მეორე ჯგუფური ეტაპი

პირველი ჯგუფი

26.06 ჰოლანდია — არგენტინა	4:0 (2:0)
26.06 ბრაზილია — გვრ	1:0 (0:0)
30.06 ჰოლანდია — გვრ	2:0 (1:0)
30.06 ბრაზილია — არგენტინა	2:1 (1:1)
03.07 ჰოლანდია — ბრაზილია	2:0 (0:0)
03.07 არგენტინა — გვრ	1:1 (1:1)
ჰოლანდია	3 3 0 0 8:0 6
ბრაზილია	3 2 0 1 3:3 4
გვრ	3 0 1 2 1:4 1
არგენტინა	3 0 1 2 2:7 1

მეორე ჯგუფი

20.06 გვრ — იუგოსლავია	2:0 (1:0)
26.06 ჰოლონეთი — შვედეთი	1:0 (0:0)
30.06 ჰოლონეთი — იუგოსლავია	2:1 (1:1)
30.06 გვრ — შვედეთი	4:2 (0:1)
03.07 გვრ — ჰოლონეთი	1:0 (0:0)
03.07 შვედეთი — იუგოსლავია	2:1 (1:1)
გვრ	3 3 0 0 7:2 6
ჰოლონეთი	3 2 0 1 3:2 4
შვედეთი	3 1 0 2 4:6 2
იუგოსლავია	3 0 0 3 2:6 0

მესამე ადგილი

06.07 ჰოლონეთი — ბრაზილია 1:0 (0:0)

ფინალი 07.07

გვრ 2:1 ჰოლანდია

1:0 ნეესკენსი (23), 1:1 ბრაიტნერი (25), 2:1 მიულერი (43)

გვრ: ზემ მაიერი, ბერტი ფოგთსი, გეორგ შვარცენბეკი, ფრანც ბეკენბაუერი, პაულ ბრაიტნერი, ული პონუსი, რაინერ ბონზოფი, ვოლფგანგ ოკერატი, იურგენ გრაბოვსკი, გერდ მიულერი, ბერნდ მოლცენბაინი

მწვრთნელი: ჰელმუტ შიონი
ჰოლანდია: იან იონგბლადი, ვილემ სუურბიერი, არი შანი, ვილემ რიხტერგენი (თეო დე იონგი 68), რუდი კროლი, ვილემ იანსენი, იოჰან ნეესკენსი, ვილემ ვან შანეგემი, ფონი რეპი, იოჰან კრუიფი, რობი რენსენბრინკი (რენე ვან დერ კერკოფი 46)


მწვრთნელი: რინუს მიხელსი
მსაჯე: კონ ტელიორი (ინგლისი)



ბეკენბაუერი და მაიერი ჩემპიონობას შეიძობენ



დაღონებული და განრისხებული იოჰან კრუიფი



ნიჭები, ცხოველები, სიღ-ოსსცანი და...

ტუტა სინარულია

თილისმა მსოფლიოს ჩემპიონატებს 1966 წლიდან მოსდევს. პირველი გახლდათ „ვილი“, ფეხბურთელი ლომი, რომელიც კაცობრიობას ინგლისელებმა შესთავაზეს და მას შემდეგ დიდი ფეხბურთის განუყოფელ ნაწილად იქცა. სასაცილო და საყვარელი ცხოველები, ბოსტნეული თუ კაცუნები კომერციულ საქმიანობაშიც ჩაებნენ და მათი გამოსახულებით დამზადებულ ნაირ-ნაირ ნაწარმს წარმატებით ასაღებდნენ დედამიწის მოსახლეობაზე.

1970 წელს მექსიკელებმა ბიჭუნა ზუანიტო შესთავაზეს გულშემატკივრებს, ოთხი წლის შემდეგ კი გერმანელებმა ტაბი და ტაბი დახატეს, ბენიერი ბავშვები. ბიჭუნა მსოფლიოს ჩემპიონატის თილისმად კიდევ ერთხელ ვიხილეთ 1978 წელს. არგენტინელმა გაუჩიტომ (გაუჩო, მოგესვენებათ, არგენტინელ მეცხვარეს ნიშნავს) ბიჭების ეპოქა დაასრულა.

და დაიწყო ხილ-ბოსტნეულის რეაქლეული. 1982 წელი, ესპანეთი — ნარანხიტო, ცხაღია, ფორთოხალია, თან მოლიმარი. 1986 წელი, ისევ მექსიკა — პიკე წიწაკა; ისიც გვიღიბის და ფეხბურთის თამაში უყვარს.

შერე კი იყო 1990 წლის ჩემპიონატი იტალიაში, რომლის თილისმაც, სახელად ჩაო... თუ ვინმე გვეტყვის, ვინ ან რა არის, მდლობელი დავრჩებით. რაღაც კომპიუტერის სუნი ასდის, არა? ეტყობა, რომ ახალი ეპოქა იწყება.

თუმცა ოთხი წლის შემდეგ ამერიკელებმა ცხოველებს ძველებური იერი დაუბრუნეს — სტრაიკერი ძაღლია, მოლიმარი და კეთილი. ძველებური და პირწმინდად ფრანგული გახლდათ 1998 წლის თილისმაც. ეს იყო მამალი ფუტიქსი, ისიც, ცხაღია, მოლიმარი, კეთილი და მხარული.

და ასე მოვედით 2002 წლამდე... იაპონია — კორეა, ანუ შორეული აზია, მითებითა და კომპიუტერული სუპერტექნიკით. აი, სად იწყება... გულუბრყვილო ვილი და ფუტიქსო, თქვენი ამაღლიურთ მართლაც გასული საუკუნე ყოფილხართ. 2002 წლის ჩემპიონატს სამგანზომილებიანი ემბლემები ჰყავს. მთელი სტერეოპულტფილია.

ეს კაცუნები სადაც ზევით, ატმობონაში ცხოვრობენ, ფეხბურთის მსგავს ატმობონს თამაშობენ და, ბუნებრივია, კარგ ატმობონ-

როს ქნინან. ატმობონის მეფეა ელექტრო, რომელიც შვილს დედამიწაზე იაპონიისა და კორეის მსოფლიო ჩემპიონატზე უშვებს. შვილი თანხლებთ ირჩევს, თუმცა ორი განაწყენებული აეკიდება და... იწყება მოგზაურობათა სერიალი იაპონია — კორეამდე, სადაც 2002 წლის 31 მაისს საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატი ადამიანთა შორის...

REUTERS



1978



1966



1982



1986



1990



1970



1994



1974



1998

ჰარი და ჯო ფეხბურთიზა მადიდნენ

ირაკლი გაყრელიძე

მს ჩვენთანა, ფეხბურთზე წასვლა რომ იოლია. შიდა ჩემპიონატისას აღარაფერს ვიტყვი და, ნაკრების თამაშზეც, თუ მოხვედრა გინდა, მოხვდები.

სხვაგან კი, ცხადია, სხვაგვარადაა, მაგალითად, ინგლისში.

ვთქვათ, ჰარი და ჯომ გაღაწყვიტეს თამაშზე წასვლა. ჰარი და ჯო მეგობრები არიან, ასე ოცდახუთი ოცდაექვსი წლისანი, და ლონდონში ცხოვრობენ. ჰარი ფოსტალიონია და ჯო ავეჯის მაღაზიის მტვირთავი. მოკლედ, ფული თავზე არ გადასდით და ფეხბურთი ძალიან უყვართ. თუმცა, ფეხბურთის სიყვარული არაფერ შუაშია. ეს თავისთავად იგულისხმება და სტადიონზე წასვლასთან ძნელად თუ დააკავშირებ.

რახან ჰარი და ჯო მეგობრები არიან და ერთი უბნის პაპში დაიარებიან, ეგებ ვიგულისხმობ, რომ ისინი ერთ უბანში ცხოვრობენ. რა უბანია ეს მათი უბანი? ამის ცოდნაც აუცილებელია, რადგან პირდაპირ კავში-

რში სტადიონზე წასვლასთან. ცხადია, ჯოს და ჰარის მამები ჰყავდათ და ისინიც მშრომელი ადამიანები იყვნენ, მუშათა კლასის შვილები, ასეთებს კი მოდემით, მამაპაპით უყვართ ფეხბურთი და ხშირად ტრადიციულად, მამაპაპით ქომავობენ კლუბებს, რომლებიც უხსოვარი დროიდან მათს ტრადიციულ საცხოვრისში ბინადრობენ. ლონდონში არჩევანი დილია: „ქრიუ ელიგზანდრადან“ „არსენალამდე“ და „ლეიტონ ორიენტლიდან“ „კრისტალ პალასამდე“. ამიტომ ისიც კარგად უნდა ვიცოდეთ უბანთან ერთად, მამაპაპამ რომელი კლუბის სიყვარული გაუღვივა ჰარის და ჯოს. თუნდაც იმიტომ, რომ უბრალოდ კარგი თამაშის საცქერლად ისინი ვერ წავლენ, ჯიბე ვერ გასწვდება და არც არის ამის სურვილი. უბრალოდ კარგი თამაშის საცქერლად სტადიონზე წასვლა ნამდვილ ფანს აზრდაც არ მოუვა.




REUTERS

მოდი, ჰარი და ჯო არ გავწიროთ და დასავლეთ ლონდონში მივუჩინოთ ბინა. არ გვიხდება ეს მძიმე და დარდიანი აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი თავისი პოპულარობით, ეროვნული შუღლით და ნამდვილი ლონდონური პროლეტარიატით, რომლის გაძლება და ატანაც, რაღა დაგიძალოთ და, რთულია. დასავლეთშიც მილიონობითაა უბრალო და მუშა ხალხი. მარტო ჩელსი და კენსინგტონი ხომ არ არის? აბა აქტონიო, ჩიზიკიო, ილინგო, იმას იქითაც უამრავი. კლუბები კი დასავლეთშიც ბევრია: „ბრენტფორდი“, და „ჩელსი“, „ფულემი“ და „ქუინზ პარკი“. აქაც ასარჩევია და, რახან საქმე არჩევაზე მდებდა, მოდი, მათ შორის საქომავოდ ურთულესი და უძებრესი „ჩელსი“ ავირჩიოთ. აბა, „ბრენტფორდის“ ქომავებად


თუ დავსახეთ ჰარი და ჯო, მოსათხრობიც აღარაფერი იქნება. მივბრუნდები „გრიფინ პარკზე“, დაამოლობენ გადანახულ ათ-თორმეტ ფუნტს და უცქერენ დაბალ ლიგაში ჩაკარგულ შავ-წითელთა თამაშს. არა, ერთგული ფანები თავიანთ კლუბებს არასოდეს დალატობენ, თუნდაც ისინი ნონ ლიგაში დაქვეითდნენ, მაგრამ მოდი, ჰარი და ჯო დასავლეთის საუკეთესო კლუბს მივამავროთ.

ერთ საშუალო ოჯახს (ჩვენი გაგებით, ძალიან შეძლებულს, და „ჩელსის“ ბევრი ასეთი ქომავობს) „ჩელსის“ გულშემატკეპრობა წელიწადში ოთხი ათასი ფუნტი მაინც დაუჯდება. კარგი ადგილები, საოჯახო აბონემენტი, ქუდი, სვიტერი, მაისურა (ეს უკანასკნელი, გასვლითი მაინც, ყოველ წელიწადს ახალი მოდელისაა და, თუ მა-

REUTERS



REUTERS



გარი ბიჭი ხარ, თან ჯიბეც ცარიელი არა გაქვს, ახალი გინდა, ქურთუკი, დროშა, იქაც საჭმელი, ლუდი, კოკა და ასე შემდეგ; რა თქმა უნდა, მეორე იარუსი; რა თქმა უნდა, ფულემ როუდადღე მანქანით მისვლა; რა თქმა უნდა სამფუნტიანი პროგრამა, გასვლით თამაშებზე რომ აღარაფერი ვთქვათ „სტემფორდ ბრიჯის“ დასავლეთ ტრიბუნაზე ლოჯების გრძელი რიგცაა, რომლის ქირაობაც მთელი წლით, შიშის თავისი რამდენიმე მთლიანი ფუნტი ღირს.

ჰარი და ჯო ამ ამბავს ვერ გასწვდებიან. ისინი გასვლით თამაშებზეც ამორჩევით დადიან და ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მოახერხებენ, თუ მოახერხებს, საშინაო მატჩების აბონემენტების შეძენაა. ეს აბონემენტი ჯადოსნური ნივთია. მერე რა, რომ ჩრდილოეთ ტრიბუნაზე ზიხარ, მეოთხე რიგში, სამაგიეროდ, ბილეთზე სირბილი აღარ გჭირდება. წარამარა ოცდახუთიდან ორმოც ფუნტადღე თანხის გამოძებნა ხომ იოლი არ არის. თორემ, თუ მხარეთმცოდნე ვაიმოწი, გაშლი პარასკევ დილით გახეთს და საუკეთესო შემთხვევაში ამოკითხავ: „სტემფორდ



ბრიჯზე“ დარჩენილია მხოლოდ სამოცდათხუთმეტფუნტიანი ბილეთები. უარეს შემთხვევაში კი: ყველა ბილეთი გაყიდულია.

ჰარიმ და ჯომ ახალი სპონსორის „ფლაი ემბრატის“ ლოგოთი დამშვენებული ახალი მაისურები ეგებ ვერც იყიდეს, მაგრამ თავი გადადეს და აბონემენტები მოიპოვეს. ჰარის ძველი მაისურა აცვია „ავტოგლასის“ ლოგოთი, ჯოს კი საერთოდაც ხუთი წლის წინანდელი ქუდი შერჩენია, რომელსაც ჩელსურ ლომთან ერთად უკვე დავიწყებული სპონსორის „ქუ-



რზის“ ნიშანი ადევს. მაგრამ ქუდი ლურჯია და ლურჯი კი „ჩელსის“ ნიშანს.

ცხადია, ისინი მეტროთი მოვლენ. თამაში ოთხ საათზე იწყება, მაგრამ რახან შაბათია, ადრინდევ დაიძვრებიან და ფულემ როუდის სადგურიდან გამოუყვებიან „ჩელსის“ დახლებითა და პაბებით გაწყობილ ამ ქუჩას. ლუდსაგები ნელ-ნელა ივსება, მეტიც, იჭედება კიდევ უამრავი ხალხი კარებთანაც კი დგას კათხებით ხელში. ლუდი მდინარეებად მოედინება და ჰარი და ჯოც არ დაიხვევენ უკან, სამ სამ პინტას მაინც არ გამოცლიან და შეზარხოშებულები აყილებენ ხმას საკლუბო სიმღერებს. ამასობაში კი ქუჩაზეც საბრძოლო შემახილები ისმის. თითქოს ყველაფერი ლურჯია, და ჰარი და ჯოც უერთდებიან ხალხის ნაკადს. წინასამატჩო ყველაფერი მოასწრეს, კლუბის ამბები გაარჩიეს, მეტოქე დაწყველეს, სხვა ფანებთან ერთად მეტად ხმაძალა და კვიმტადაც კი განიხილეს საფეხბურთო ცხოვრება და ამასობაში მოშვიდათ კიდევ მხსნელი პოთილოები და გზა შენი ადგილისკენ...

მერე კი ფეხბურთია. ფეხბურთის აღწერა და ჰარის და ჯოს შრომა ტრიბუნაზე ცალკე ამბავია. თუ მოიგეს და, კვლავ ფულემ როუდის რომელიმე პაბი. ჰარი და ჯო უბრალო ბიჭები არიან, კიდევ ერთ საათს ჩა-

მოღებებიან დახლთან, თუნდაც იმიტომ, რომ გაჭვდილი მეტროთი მეზავრობა და ნაცნობი ქუჩის კუს ნაბიჯით გავლა არ უნდათ. არადა, თამაში მოგებულია და პაბებში ზეიმი გრძელდება. ზეიმი გრძელდება მეტროს მატარებლის კარამდე, მერე ფანობა თავთავის გზას ირჩევს. თუმცა, სიმღერა არც მარცხის დროს წყდება ხოლმე. ყველაზე თავზეხელაღებულმა ეგებ მუშტიც შეკრას, რაღვან ბუერი მოუვიდა.

ჰარი და ჯო მალალ-მალალი, მხარბეჭიანი ჯეკლები არიან, ზამთარში შავი, ნაქსოვი ქულები ახურაოთ. წამოჭარხლებული სახეებით და ლუდით წამოზრდილი დაიპუბით იცნობთ. მათს წლიურ შემოსავალს ეგებ ტანსაცმლის მაღაზიაში, ნახევარ საათშიც ხარჯავენ ისინი, ვის საცქერლადაც ჯო და ჰარი დაიპუბთან, მაგრამ ჰარის და ჯოს საყვარელი კლუბი ჰყავთ და სხვის ფულს არ ითვლიან. ეს არის, რომ ძალიან ძნელია ხოლმე აბონემენტისთვის თანხის გადადება. სხვა არაფერი. ჰარი წერტილებს ჯო და ჰარი დაიპუბთან, მაგრამ ჰარის და ჯოს, ყველაფერი ცნობენ და ყველაფერი სხულით. ჰარის და ჯოს უკვირთ, მაგრამ ბევრს არ ფიქრობენ ამის გამო. სჯერათ, რომ ეს ფეხბურთის ნაწილია.

REUTERS



REUTERS



ეთაპარია, "ბაიერმა" არ ჩაიხადოს

ლევან კელაშაძე

ბერმანელმა დედათმავლებმა საინფორმაციო მშენებელი საჩუქარი მიიღეს. ლევან კელაშაძის „ბაიერის“ სახელიანი მწერტინელის კლაუს ტომპილერის 22 წლის ქალიშვილმა ნინამ ერთ იტალიურ სადღაბუცო-სახურუშო ჟურნალს აქტიუიქიდან წაუპოზიორა და მთელ ქვეყანას დაანახვა ის, რასაც აქამდე მხოლოდ მეგობარ კაცებს ანახვებდა.

მშენებელმა ნინამ, რათა მისი ეროტიკული ფოტოები სასიამოვნო მუსიკის თანხლებით დაეთვალერებინათ, დახლებზე თათარიახნად ჩაწერილი კომპაქტდისკიც შემოღო — „მინდა, შენი სიყვარული ვიგრძნო“. ეფექტი ისეთი ძძლავრი ყოფილა, რომ მრავალ მამაკაცს უძალ გამოუხატავს მზადყოფნა, ნინასთვისაც ეგრძნობინებინა და თავადაც ეგრძნო...

მაგრამ ჰერ კლაუსის მაცდურ ასულს ამებისთვის ჯერ არა სცალია. ნინა ზარბრუკენის ერთ ზორბა ბანკში მუშაობს და ევროს ხმარებაში შემოსვლის გამო ამჟამად თურმე იძღენი საქმე აქვს, რომ იქიდან ვერც ცხვირის გამოყოფას ასწერებს, ვერც ჯიშინი ფეხებისას.


ჰო, მართლა, ნინას გრძელი ფეხების დანახვა გერმანიაში არავის გაჰკვირვებია, — მისი უმცროსი ძმა დინოც ზომ,

მეორე ბუნდესლიგის „ბოხუმში“ რომ ბურთაობს, კი სამალაბა ფეხებზე შემდგარი ბიჭია და სიმაღლეში მეტრსა და 88 სმ-ს ათვლის. ანუ მათი გენეტიკური საფუძვლები აშკარაა. აი, ნინას მუსიკალურმა ტალანტმა კი იტაურები, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა. „ნუ გაგიკვირდებათ — ჯერ ერთი, ბებიჩემი ელისაბედიც შესანიშნავად მღეროდა. მეორეც მამჩემი კლაუსიც ღიღებულ იმესაყვირეა“, — ნინას ამ პასუხის შემდეგ კლაუს ტომპილერსა და მესაქსაფონე ბილ კლინტონს შორის ასოციაციური კავშირი თავისით მყარდება.


თუმცა, ამ ვნებიანი ქალიშვილის ხსენებაზე ამიერიდან მაინცდამაინც „ბაიერის“ მწერტინელი არ უნდა გაგვახსენდეს. ბანკისგარე ცხოვრებისათვის ნინას უცნაური გარსახელი — ნენა ფაიე მიღური აურჩევია და თავის პირველ საჯარო კონცერტზეც, ერთ თვეში ფრანკფურტის რიტუალების სასახლეში რომ გაიმართება, სწორედ ამ ფსევდონიმით გამოვა.

მართლაც თვითონ არჩია ნინამ ფსევდონიმით გამოსვლა თუ ასე მესაყვირე მამის ხათრით მოიქცა, არავინ იცის... ისე კი, კლაუს ტომპილერი შვილის კულრაჭობებს ჯერჯერობით მშვიდად ხვდება — მთავარია, ნინას მსგავსად მისმა „ბაიერმაც“ არ ჩაიხადოს!

კლაუს ტომპილერი შვილის კულრაჭობებს ჯერჯერობით მშვიდად ხვდება...



REUTERS



BILD



BILD



BILD



BILD



სასწაულებრივად დამარცხებულმა მარტინა პინგისმა მალღა ღმერთს ახელა, რატომ გაძიწვევრი

იღბლის კვანტი

დავით გულუა


მელბურნში ხან კოკისპირულად წვი-
მდა, ხან უმოწყალოდ ცხელოდა — საჩო-
გბურთო სეზონში პირველი „დიდი სლე-
მის“ ტურნირის, ავსტრალიის ღია პირვე-
ლობა ძნელ პირობებში გაიმართა. სამხრეთ
ნახევარსფეროს ახლა გაგანია ზაფხული

უღვას და ის დალოცვილი მზე დღიდან
დღემდე მეტ და მეტ მცხუნვარე სხივებს
უშენდა „მელბურნ პარკის“ კორტებს და
მის შემოგარენს. იანვრის შუა რიცხვებში,
როცა ტურნირი დაიწყო, ცელსიუსის თერ-
მომეტრები 30 გრადუსს უწვევებდნენ და
ეს შედარებით ასატანი იყო, მერე კი ტემ-
პერატურის მშობ აპარატებს სიცხე გაუ-
ჯდათ და დაიწყო: 32, 33, ხოლო ქალთა
ფინალის დღეს 36 გრადუსი დაფიქსირდა.
მარტინა პინგისმა მეტიც თქვა, 46 გრადუ-
სზე ნაკლები არ იქნებოდა. კონტა შევი-
ცარიელი ვოგო იმ დღეს კორტზე იდგა და
შუადღის სვატში გამალებით იქნედა ჩო-
განს შარშანდელი ჩემპიონის, ჯენიფერ კა-
პრიატის დასათრუნად.

ღიახ, წლევანდელ მელბურნში გასული
წლის ქალთა ფინალი განმეორდა. პინგის-
სმა და კაპრიატიმ ენერჯის საკმაოდ ზო-
მიერი ხარჯვით საწყისი ბადის ყველა სა-
ფეხური გაიარეს, ცოტათი მხოლოდ ნა-
ხევარფინალებში გაუჭირდათ. გადამ-
წყვეტი ბრძოლა რევანშის იდეით
ატაცებულმა პინგისმა მძლავრად და-
იწყო, მოუგო მეტოქეს ერთი სე-
ტი, მეორეში 4:0 დაწინაურდა და
მერე 4 (!) მატჩბონტი ჰქონდა,
რამაც თითქოს შევიცარიელის კრი-
ზისიდან დიდებული დაბრუნებაც
მოამწიფა მაგრამ სადღაც ახლოს
ემშაკი ყურყურებდა, მიღად კრი-



ჯენიფერ კაპრიატი



მარტინა პინგისი



AP




ტომას იოჰანსონი

მარტინა ჰინგისმა და ანა კურნიკოვამ წყვილებში გამარჯვებით ათასობით ქომავი გაახარეს



AP



ჯენიფერ კაპრიატიმ ავსტრალიურ თასს ზეღიზელ მუორედ აიკცა

ტიკულ მომენტში შეუვლდა ჰინგისს და საათივით აწყობილი საქმე ჩაუფუშა. 4:6, 7:6, 6:2 — გაიმარჯვა კაპრიატიმ, ხოლო ვაჟთა ტურნირი ქალებისას არაფრით ჰგავდა — იქ სენსაციებს ბევრად მეტი გასავალი ჰქონდა. დაიწყებამდე გამოითიშა ანდრე აგასი. მას ტრავმა აწუხებდა და თავისი ადგილი ქართველ ირაკლი ლაბაძეს უბოძა, თუმცა, ჩვენთანმა პირველივე თამაში წააგო, როგორც ლეიტონ ჰიუიტმა, ვისაც ბატონები უბრძანდებოდნენ და კორტზე გასვლას არ უბრძანდებდნენ, მაგრამ ავსტრალიელთა უტენმა ვილამ ჩოვანი მინც მოიმარჯვა. ავადმყოფობა გასტეხეს ქვასც მაგარსა, ამიტომ ჰიუიტს პირველივე თამაშის შუაში ფეხები მოეკვეთა და ქანცი აღარ შერჩა. შესაბამისად — წააგო. იმის კვალს მიჰყვნენ გუსტავო კუერტენი, ევგენი კაფელნიკოვი, სებასტიენ გროუჟანი, პიტ სამპრასი და დაიცალა კორტები ვარსკვლავებისგან. შედარებით დაფასებულებიდან (რეიტინგების თვალსაზრისით) შორს გააღწიეს მხოლოდ მარატ საფინმა და ტომი ჰასმა, რომლებიც ნახევარფინალში შეიბნენ. ეს იყო კუნთების და ნერვების წყვეტის მატჩი, რომელიც მოვარდნილმა წვიმამ მოიგო, უფრო ზუსტად, საფინს მოაგებინა. იმ 45 წუთში, ნალექებისგან კორტის დაცვის ღონისძიებებს რომ დასჭირდა (მოძრავი სახურავის გადაფასება და მისთანები), რუსის ყმაწვილს მუორე სუნთქვა გაუხსნა და გერმანელს კი რატომღაც პირველიც გადაეკეტა. შემდეგ საფინმა ითამაშა ფინალი შედგ ტომას იოჰანსონთან, რომელმაც მეტბურნს იახლა ვიკინგები რქიანი მუზარადებთა და ათასი სხვა საქომავო ატრიბუტით, თვითონაც საბრძოლო ფორმაში იყო და დიდპატარას ბღღვირი ადინა, ბოლოს კი საფინსაც — 3:6, 6:4, 6:4, 7:6.

მარატ საფინს იმ დღეს, ესე იგი 27 იანვარს, დაბადების დღე ჩაშხამდა.



AP


მარატ საფინი თავგანწირვით იბრძოდა, მაგრამ დენით მხოლოდ ფინალამდე ეყო



AP

უიკურნალეთ მაიკს

306 არის ბოლოს და ბოლოს ეს კაცი?



ტუზა სინაჟულია

არ უნდა იყოს მთლად მტყუანი ის ხალხი, ვინც, აგერ უკვე წლებია, მაიკ ტაისონის ფსიქიატრიულ შემოწმებას ითხოვს. გასაგებია, რომ კრივე სანახაობაა. გასაგებია, რომ კრივს მილიონები მოაქვს. გასაგებია, რომ მოკრივეთა რინგზე დაპირისპირება ზრავერია, თუ მას წინასიტორია არ უძღვის. გასაგებია, რომ „რკინის მაიკი“ წინასიტორიის შესაქმნელად ჩინებული მასალაა, მაგრამ დღეს, უკვე მწვავედ ისმის კითხვა: საქმე სწეული ადამიანის კომპერციული მიზნით გამოყენებასთან ხომ არ ვვაქვს?

იქნებ, მაიკ ტაისონს რინგი, გონგი, პროექტორები და მილიონები კი არა, პროფესორი და მშვიდი გარემო სჭირდება?

ასეა თუ ისე, ბრძოლა, რომელსაც მთელი კრივით დაინტერესებული მსოფლიო ელოდა და რომელიც თითქოს 6 აპრილს უნდა გამართულიყო, როგორც ჩანს არღარ შედგება. ან თუ შედგება, დიდი იურიდიული და გეოგრაფიული წიაღსვლების შემდეგ — ლიცენზია და ბრძოლის ადგილია საძიებელი. მაიკ ტაისონს ლიცენზია ნევადის ათლეტთა საქმეების კომისიამ ჩამოართვა და შესაბამისად, ნევადაში მდებარე ლას ვეგასის „ემ ჯი ემ გრანდი“ ბრძოლას ვერ უმასპინძლებს.

ალბათ, მიხვდით, საუბარია ლენოქს ლუისისა და „რკინის მაიკის“ დაპირისპირებაზე, რომელიც იმდენად რეალური ჩანდა, რომ ორგანიზატორები 22 იანვარს, ნიუ იორკში, „მედისონ სკვერ გარდენში“ პირველი პრესკონფერენციის გამართვასაც აპირებდნენ.

აპირებდნენ მაგრამ... როგორც კი მეტოქეებმა სცენაზე ფეხი შედგეს ჩხუბი ატყდა. კერძოდ, ლუისი იმ ადგილას გაჩერდა, სადაც უნდა გაჩერებულიყო, ტაისონი კი მიუახლოვდა თუ არა, წინ ჩემპიონის მცველი აეფარა. ტაისონი ამბობს, რომ მცველის გადაღობვა სცენარით გათვალისწინებული არ იყო და ამიტომაც ჰკრა ხელი, მაგრამ, ალბათ, თავის მხრივ არც ის მცველი იყო გიჟი და რაკილა შუაში ჩადგა, რაღაც ავისმომასწავებელი შენიშნა.

ატყდა ჯგუფური ჩხუბი. მოკრივეებმა ხელი გაშალეს. ერთი-ორი WBC-ს პრეზიდენტს, 70 წლის ხოსე სულიმანსაც მოხვდა და საბოლოოდ პრესკონფერენცია ჩაიშალა;

შემდეგ მეტოქეები ცალ-ცალკე შეხვდნენ პრესას. ლუისმა თქვა ჯგუფური ჩხუბი რომ ატყდა, ტაისონმა დრო იხელთა და ფეხზე მიკბინაო, ტაისონმა კი თავის პრესკონფერენციაზე ბოდიში იხადა და თავი იმართლა.

და რა მივიღეთ?
არაფერი, ჩაშლილი ჩხუბის გარდა.
კიდევ, ტაისონს, როგორც გითხარით, ლიცენზია ჩამოართვეს, ამასთან ცოლი ეყრება და ვიღაც ახალი ქალი უჩვივის გამაუპატიურაო.
იქნებ, ჯერ მაინც ემკურნალა?



AP


მიუხედავად

იმისა, რომ საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ექვსიდან მხოლოდ ორი მატჩის მოგება შეძლო და ცხადია, ვაკუუმში პირველობა ვერ მოიპოვა, ჩვენი ბიჭების მიმართ სასაყვედურო მაინც ბევრი არაფერი გვაქვს. მათ ყველა თამაშში თავგამოდებით იბრძოდნენ და არც თუ შორს იყვნენ მიზანთან.

საწყენია, რომ თანაბარბადლოვან ვაკუუმში პირველი ადგილის დაკავების მშვენიერი შანსი ვერ გამოვიყენეთ, მეტოქეები ხომ ბევრი ვერაფრით გვჯობდნენ. დარწმუნებული ვართ, იმ მოსამზადებელი პირობების თუნდაც მესამედი რომ ჰქონოდათ, რაც ვთქვით ავსტრელებს ან ფინელებს და სამი წამყვანი მოთამაშეც არ ჰკლებოდათ, შემდგომ ეტაპზე სწორედ ქართველი ხელბურთელები გავიდიოდნენ. სამივე კლუბიერმა — როლანდ კრაძემ (ისლანდია), გარი თურქიამ (საბერძნეთი), სერგო დათუკაშვილმა (იტალია) სუბიექტურ-ობიექტური მიზეზების გამო ვერ შეძლეს თბილისში ჩამოსვლა და გუნდსაც ვაქტობრივად განახევრებული შემადგენლობით მოუხდა ასეთი უმნიშვნელოვანესი ღონის ასპარეზობაში მონაწილეობა. ჩვენებს უთუოდ წაადგებოდათ საბერძნეთში დავკეცილი ერთკვირიანი შეკრება და იქაურ წამყვან კლუბებთან რამდენიმე ამხანაგური მატჩი, მაგრამ უფულობამ ეს არც ისე ძვირი საიმპონებაც ჩავიშალა.

თუმცა, ათენში წაუსვლელობას ვინ ჩივის, კინაღამ საერთოდ ვერ მიიღო ტურნირში მონაწილეობა საქართველოს ნაკრებმა. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ საამისოდ გამოყოფილი ასი ათასი ლარიდან, ფინანსთა სამინისტრომ ხელბურთელებს ვერაფერი მისცა, ვერ ქვეყნის ბიუჯეტი არ დაგვიმტკიცებიათ. როგორი საქმეა, როცა ასეთ კატეგორიულ უარს პირველ ოფიციალურ თამაშამდე ერთი კვირით ადრე მოგართმევენ. ჰოდა, ალბათ ციოს ან კოპერფილდის გვერდით უნდა დავაყენოთ ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაზა

ტიტე კალანდაძემ ყველაზე მეტი გოლი გაიტანა



საპარტიკო სურათი



საქართველოს ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესო ალექო ბოყოჩაძე იყო

დოლიმს კოპერფილდობაც უხერხება

დოლიძე და მისი რაზმი — განა ნაკლები ილუზიონისტობაა 15-კაციანი გუნდისთვის „პოსლუზე“ ფინეთ — ჰოლანდია — ავსტრიაში გასაფრენი ბილეთების აღება? ერთი სიტყვით, ჩვენი ვალატაკებულ-განახევრებული ნაკრები კარგად გაწვრთნილ და გამოკვებულ მოწინააღმდეგეებს ვერ მოერიდა და ვაკუუმში ბოლო, მეოთხე ადგილზე დარჩა.

რა უნდა მოსთხოვო გუნდს, რომელსაც ასეთი საპასუხისმგებლო ტურნირის წინ თუნდაც ერთი შეკრება და ორიოდე საკონტროლო მატჩი ვერ ჩაუტარებია?

რა უნდა მოსთხოვო გუნდს, რომლის წევრებიც მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გაყინულ, ჩაბნელებულ დარბაზში ქულებსა და ხელთათმანებში გამოწყობილები „მზადებიან“ ისე რომ, ხელების ხეირიანად გახურებას ვარჯიშის ბოლომდე ვერც ახერხებენ?

რა უნდა მოსთხოვო გუნდს, რომლის მთავარი მწვრთნელიც იმის მაგიერად, რომ ბიჭები ავარჯიშოს, აქეთ-იქით ხელგაწკვილი დაღის თვითმფრინავის ბილეთებისა და მეტოქეთა დასახვედრად საჭირო ფულის სასესხებლად?

გაისადაც მოძავალი შესარჩევი ეტაპი იანვარში ჩატარდება. ისევ ოთხკუნდიანი შეჯიბრება გველის, ცხადია, სხვა ქვეყნების ნაკრებებთან, ოღონდ იგივე პრობლემებით. ისევ სანახევროდ შეშობარ სპორტის სასახლეში დაკუსვლებით მოწინააღმდეგეებს და კვლავ იმის შიშში ვიქნებით, რომ არაერთხელ შეკეთებული ჰაერის გამათბობელი „ჯამბოები“ ისევ არ გაფუჭდეს, თორემ ვეროპის ხელბურთის ფედერაცია თბილისში თამაშს ავაკრძალავს. ფულზეც ხელახლა გვექნება სარბენი. ამიტომ, იქნებ დეკემბერს არ დავუცადოთ და დღეიდანვე დავიწყეთ კარდაკარ მათხოვრობა ერთი ათლიანი შე-

კრებისა და სამ ქვეყანაში გასამგზავრებელი თანხის შესაგროვებლად.

ანდა, ხომ არ სვობს, ზედმეტი თავის ტკივილის თავიდან ასაცილებლად დროებით (იქნებ სამუდამოდაც) ხელბურთზე ხელი ჩავიქინოთ ქვეყანაში და სპორტის სასახლეში დათობბამდე.

ჩვენი გუნდის ყველა მატჩი	
საძარტველო — ფინეთი	23:23; 20:23
საძარტველო — ჰოლანდია	26:24; 22:24
საძარტველო — ავსტრია	28:27; 21:30
ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით იასპარეზა:	
მეკარე შოთა თევზაძე, ტიტე კალანდაძე (გაიტანა 36 გოლი), ალექო ბოყოჩაძე (33), ლევან გელაშვილი (23), ბექა ორჯონიკიძე (15), გიორგი ქობულაშვილი (6), ზაზა ფერაძე (6), გიორგი გვაზაგა (4), ომარ ყიფიანი (3), რევაზ ჭანტურია (3), ედნარ ქარცივაძე (1), ლაშა სხიარულიძე, დავით ჩიკოლაიშვილი.	
საბოლოო პიტირება	
ავსტრია	6 3 1 2 162:148 7
ფინეთი	6 3 1 2 148:147 7
ჰოლანდია	6 2 1 3 143:147 5
საქართველო	6 2 1 3 140:151 5
ავსტრია ფინეთზე წინაა ერთმანეთში ბურთების უკეთესი ბალანსით — 30:20; 25:33, ხოლო საქართველო ჰოლანდიაზე უკან აღმოჩნდა შინ მეტი ბურთის გაშვების გამო.	

მიზა გურასაშვილი


სამეპროტაშვილი სკანდალებითა და პრობლემებით გათანგული XIX ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი სოლტ ლეიკ სიტი რამდენიმე დღეში საკუთარ მოვალეობას — მასპინძლობას შეუდგება. თეორიული ოლიმპიადაზე, როგორც მისი ორგანიზატორები ვარაუდობენ, დაახლოებით 80 ქვეყნის 2345 სპორტსმენი იასპარეზებს, მათ შორის საქართველოს წარგზავნილებიც.

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, მსოფლიოს ოლიმპიურმა ოჯახმა ლილეპამერის ზამთრის თამაშებზე გაიცნო. 1994 წლის შემდეგ ქართველმა ოლიმპიელებმა სამჯერ იასპარეზეს ოლიმპიადებზე, თუმცა წარმატებებს მხოლოდ ზაფხულის თამაშებზე მივაღწიეთ.

„თეორ“ ოლიმპიადაზე ნავსი არც ამჯერად გატყდება. საქართველოს სპორტი ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტ გოგი თოფაძის სიტყვებს თუ დავესრულებთ, წარმატების იმედი დილემანტებს აქვთ. თოფაძისავე თქმით, გაუმართლებელია კითხვაც, თუ რა გვესაქმება სოლტ ლეიკ სიტიში. სპორტსმენს, რომელიც დღევანდელ პირობებში ლიცენზიას მოიპოვებს, არ შეიძლება ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის საშუალება არ მისცე.

საქართველოდან სოლტ ლეიკ სიტიში საკუთარ ძალებს მოსინჯავენ როგორც ამგვარ ასპარეზობათა დებუტანტები, ისე გამოცდილები. ამ მხრივ აღსანიშნავია ტრამპლინიდან მსტომელი კანა წაქაძე. 1990 წლის სსრკ-ს ჩემპიონის, 1989-90 წლების თაისის მფლობელისა და საკავშირო ხალხთა სპარტაკიადის გამარჯვებულისთვის ლილეპამერი-სა და ნაგანოს ოლიმპიური თამაშების შემდეგ სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადა შესაძლებელია.

XIX ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე იასპარეზებს ნაგანოს ოლიმპიადის მონაწილე, სამთო მოთხილამურე სოფიკო ახმეტელი. ისე, თუ ვინმეს მეტნაკლები წარმატების შანსი აქვს სოლტ ლეიკ სიტიში, ეს, ალბათ, სოფიკო ახმეტელია. ევროპის ქვეყნების 2000 წლის უნივერსიადის ჩემპიონს, შარშანდელი საფრანგეთის ტურნირის სამგზის გამარჯვებულსა და წლე-



სალტ ლეიკ სიტი, უტაჰა

ზაგ-თეთრუი გაომნყოზილთა თეთრი აზგუბი



სალტ ლეიკ სიტი, უტაჰა

ვანდელი მიუნხენის საერთაშორისო ტურნირის ვერცხლის მედალოსან ახმეტელს, ალბათ ხელეწიფება ფინალისტთა შორის მოხვედრა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შარშანწინდელი ტრავმის გამო, როდესაც მას ვარჯიშისას ერთ-ერთი მოთხილამურე დაეჯახა და ფეხი მოიტეხა, დღესაც კიდურში ერთგვარი ლითონის ფირფიტები აქვს ჩადგმული. სამთო სათხილამურო სპორ-

ტში იასპარეზებს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, თურქეთის საერთაშორისო ტურნირის რამდენიმეგზის გამარჯვებული და პრიზიორი რობერტ მახარაშვილიც. ქართველ ოლიმპიელთა შორისა ფიგურულად მოციგურავე ვახტანგ მურვანიძე. შესაძლებელია ფინალისტთა შორის მურვანიძე ვიხილოთ. ახლანდელ დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე მურვანიძემ მე-16 ადგი-

ლი დაიკავა. გარდა ამისა, სოლტ ლეიკ სიტის ახალგაზრდობის ზამთრის ოლიმპიურ დღეებზე სუნდვალში ვერცხლის მედალოს დაეწვლა. არის კენის „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი და ვერცხლის მედალოსანი, ხოლო სასოლტ ლეიკ სიტი სალიცენზიო ტურნირში სულაც III ადგილი დაიკავა.

სხვათა შორის, ოლიმპიური თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე ჩვენი ქვეყნის დელეგაციას საქართველოს დროში ხელში, ალბათ, მურვანიძე გაუძღვება.


ისე, რომ არა ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეთა ასაკობრივი ზღვარი, ჩვენი დელეგაცია ერთი-ორი სპორტსმენით მეტი იქნებოდა. საქმე ისაა, რომ გვეყავს სპორტსმენები, რომლებსაც საოლიმპიადო ნორმატივი შეუსრულებიათ, თუმცა, ხელის შემშლელი ფაქტორი მათი პატარა ასაკია, ამგვარ ასპარეზობებზე კი თექვსმეტწლამდელები არ დაიშვებიან.

მიუხედავად ამისა, სოლტ ლეიკ სიტიში სხვა ტომით ქართველ სპორტსმენებსაც ვიხილავთ. მათ შორის პრიზიორთა შორის მოხვედრის რეალური კანდიდატია რუსეთის სახელით მოასპარეზე, ფიგურულად მოციგურავე ანტონ სიხარულიძე, ვინც ელენა ბერეჟნაისთან წყვილში გამოდის.

ჩრდილოელი მეზობლების სახელით იასპარეზებს სკელეტონისტი (ციგა) კოტე ალადაშვილიც.

სხვათა შორის, ერთი ხანობა ანტონ სიხარულიძის გადმობირებაზეც იყო საუბარი, თუმცა საქართველოში ჩვენი სპორტსმენების თავადვე გაზრდა და მომზადება არჩევს.

ასეა თუ ისე, ქართველები სოლტ ლეიკ სიტიში, ალბათ იმაზე უკეთ იასპარეზებენ, ვიდრე ჩვენისთანა გამვალტყავებულები ქვეყნის წარმომადგენლებს შეეფერებათ. თუმცა, თუ მათი ჩაცმა-დახურვითა და ადგურვილობით ვიმსჯელებთ, ჩვენებებს გაჭირვებისა არაფერი ეტყობათ. ისინი სასოლტლეიკ-სიტოდ იტალიური ფირმა „კაპას“ შავ-თეთრ სპორტულ და ამავე ფერის ეკრმანული „ბოსის“ მშვენიერ საველდლო სამოსში იქნებიან გამოწყობილნი, რითაც არავის ჩამოუვარდებიან.



სტი მოქიშპის იერიშები უნდა მოეგერიებინა და ამით თავისი სიმართლე დაემტკიცებინა.

ასევე „განიხილებოდა“ განქორწინების საქმეც, სადაც გაყრის მოსურნე ცოლ-ქმარს შორის ჭიდაობაში გამარჯვებული „ღმერთის გადაწყვეტილებით“ ვლინდებოდა.

ჭიდაობის კურორზები შუა საუკუნეებს სულაც არ გაჰყოლია. სასეირო ამბები მერეც მრავლად ხდებოდა, როცა ევროპისა თუ მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატები ცირკში იმართებოდა. ჭიდაობის ცირკულ ამბებს არც ცირკში დასმია წერტილი და დღემდე გრძელდება. ამგვარად, ჭიდაობა კურორზებით აღსავსე სპორტის სახეობაა. განა კურორზი არ არის, რომ ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას ჩამოყალიბება დაასწრეს მასზე გაცილებით ახალგაზრდა სახეობების, მათ შორის ბოულინგის, პოკეის, ფეხბურთის, სროლის ან თუნდაც „გუმინ“ გამოგონებული ველსპორტისა და აერონაოსნობის ფედერაციებმა?

სირკული ისტორიები — საჭიდაო სარბიელზე

**ავთანდილ გურასაშვილი
ავტორის ფოტოები**

მემავემონისა არ იყოს, ჭიდაობის ისტორიაც უძველესი წარსულიდან იწყება. იგი იმთავითვე თავდაცვისა და თავდასხმის ერთ-ერთი საშუალებაა. ჭიდაობა სპორტის უძველესი სახეობაც არის, რაც თავისთავად

გულისხმობს ამ საქმით დაკავებული კაცის დაუღალავ ფიზიკურ ვარჯიშსაც, გართობასაც, ჯან-ღონის მომატებასაც და სხვა თვისებების ჩამოყალიბებასაც. ჭიდაობა ერთ-ერთი პროფესიაცაა, რაც ხშირად არანაკლებ


შემოსავლიანია, ვიდრე სხვა რამ საქმიანობა თუ თანამდებობა.


ერთი შეხედვით, სხვა რაღა უნდა იყოს ან უნდა ყოფილიყო ჭიდაობა, მაგრამ იყო დრო, როცა მას სასამართლო საქმის გარჩევას უთანაბრებდნენ. შუა საუკუნეებში, მაგალითად, მოშუღართაგან ძლიერს თემობამდე ორმოში სვამდნენ, საიდანაც სუ-

ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციას (ფილა), რომელიც ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობას აერთიანებს, 1912 წელს ელირსა ამგვარი პატივი და მას ახლა დაფუძნებიდან 90 წლისთავი უსრულდება.

რაკი კურორზებით დავიწყეთ საუბარი, ამითვე გავაგრძელებთ, რადგან იუბილეს სასეირო, სასაცილო ამბების გახსენებაც უხდება. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, როგორც მისი სახელწოდებიდან ჩანს, ბერძენ-რომაელთა კუთვნილებაა და იგი მართლაც ძალზე პოპულარული იყო ძველ

ცოცხალი ხიდი





თუ გული გულობს... ჭიდაობა ცალი თითითაც შეიძლება

საბერძნეთშიც და რომშიც. ბერძნული ჭიდაობა ანტიკური ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ კურიოზი ისაა, რომ თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე ბერძნეთაგან ჩემპიონობა მონრეალის ოლიმპიადამდე არავის მოუპოვებია. კანადის დედაქალაქში ამგვარი ტრადიცია, როგორც იქნა, სტილიანოს მიკიავისმა (62კგ) დაარღვია, მაგრამ ეს ჯერჯერობით ერთადერთი გამონაკლისი აღმოჩნდა.

ბევრი ოლიმპიური მთავრობის მხარდგეგმვაზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სამი ოლიმპიური ჩემპიონი ჰყავთ. ბერძნეთის ეს მიუღწეველი ოცნებაა, მაგრამ როცა ჭიდაობას რომაულიც ჰქვია, სამი ოლიმპიური ჩემპიონის ოთხი ოქროს მედალი, ალბათ, ცოტაა. იტალიელებს საქმე უკეთ არც მსოფლიოს ჩემპიონატებზე აქვთ.

ისიც კურიოზი გვეჩვენა, რომ ამ სტილით ჭიდაობას სახელი იმდენჯერ შეეცვალა, ამ მხრივ რეკორდსმენადაც შეიძლება ჩაითვალოს. თავდაპირველად მას, როგორც ვთქვით, „ბერძნულ-რომაული“ ერქვა, შემდეგ „ფრანგული“ უწოდეს, მერე — „კლასიკური“, ბოლოს — ისევ „ბერძნულ-რომაული“. ამ ცვლილებებმა ფრანგებს ვერ უშველა. სამაგიეროდ 1924 წელს ოლიმპიური თამაშების პარიზში გამართვამ უშველა მძიმეწონის ანრი დეგლანს, რომელიც ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში

ერთადერთი ფრანგი ოლიმპიური ჩემპიონია.

ერთ-ერთი უდიდესი კურიოზული ამბავი 1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა. დღეს რომ მოჭიდავეები ქანცის გაწყვეტამდე არ იბრძვიან, ეს ბავშვმაც იცის, მაგრამ იმ შორეულ წლებში ასე არ ხდებოდა. ფინალურ ეტაპზე ბრძოლის დრო შეუზღუდავი იყო. მაშინ სტოკჰოლმში ქვემსუბუქ წონით კატეგორიაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ლატვიელი მარტინ კლეინი და ფინელი მსოფლიოს ჩემპიონი ალფრედ ასიკაინენი. ერთიც და მეორეც დიდიხანა თავდაუზოგავად იბრძოდა გამარჯვებისთვის. წუთი წუთს მისდევდა, საათი საათს, მაგრამ უპირატესობას ვერც ერთი ვერ აღწევდა. ისე დაიქანცნენ, მათი ჭიდილი თანდათან ბლარბლანს დაემსგავსა. მოჭიდავეებს ყოველ 30 წუთში მხოლოდ ერთი წუთით ასვენებდნენ. ამასობაში დაღამდა კიდევ ისინი კვლავ არ უთმობდნენ ერთმანეთს. ასე მილია შეხვედრის 10 საათი. ერთიც და მეორეც ფეხზე ძლივს იდგა. ისე დალასლასებდნენ, მაყურებელი ყოველ წამს ელოდა, ან ერთი წაიქცევა ან მეორე. ბოლოს, როცა წმინდა საჭიდაო დრომ ლაშის 10 საათსა და 30 წუთს მიაღწია, ფინელი გატყდა.

გასავათებულმა კლეინმა ორი დღე და ღამე ძილში გაატარა და ფინალში შედ კლაუს იუჰანსონთან საჭიდაოდ ვეღარ გა-

ვიდა. ჩემპიონობა, ცხადია, იუჰანსონს მიაკუთვნეს, ასიკაინენს კი ბრინჯაოს მედალი შეხვდა.

ასეთივე ამბავი მოხდა საშუალოწონისაგანა ფინალშიც, სადაც შეუღდა ანდრეს ალგრენმა და ფინელმა ივერ ბილინგმა 9 საათს ღვარეს ოფლი და ერთმანეთს ვერაფერი დააკლეს. მსაჯებმა „ოქრო“ ვერც ერთისთვის ვერ გაიმეტეს და ორივე ვერცხლის პრიზიორად გამოაცხადეს, ჩემპიონობა კი არავის არგუნეს.

კურიოზები ჩვენს მოჭიდავეებსაც გადახდნიათ, მათგან ყველაზე პარადოქსული ამბის მონაწილე კი რომან ძნელაძე განლავთ.

მელბურნის 1956 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ქვემსუბუქი წონის ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ბოლო ორთაბრძოლაში ერთმანეთს რომან ძნელაძე და უნგრელი იმრე პოაკი დაუპირისპირდნენ. საქმის ვითარება ასეთი იყო: თუ ქართველი გამარჯვებდა, ჩემპიონი გახდებოდა. თუ რომანი ქულებით წააგებდა, ოქროს მანამდე მის მიერ ძლეული ფინელი რაუნო მიაკაინენის კუთვნილება ხდებოდა, ძნელაძეს კი „ბრინჯაო“ ერგებოდა. თუ ძნელაძე წმინდად დამარცხდებოდა... მას ვერცხლის მედალი შეხვედებოდა, ჩემპიონი კი უნგრელი გახდებოდა.

ძნელაძე გამარჯვებისთვის ბოლომდე ამოდ იბრძოდა. რაკი ვერ იმარჯვებდა, ყველა ფიქრობ-

და, რომ შეხვედრის ბოლო მუხე დაუწყებოდა მეტოქეს. ძნელაძემ ვერცხლის მედალის ამგვარად მოპოვებას ქულებით წააგება და ბრინჯაოს ჯილდო ამჯობინა.

მთელ ამ ისტორიაში კურიოზული, ცხადია, თავად საქმის ვითარება და შეჯიბრების წესები იყო, ხოლო ჩვენი მოჭიდავის საქციელი, რაღა თქმა უნდა, რაინდული გახლდათ.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ჭიდაობაში ყველაზე ხშირად, ლამის ყოველწლიურად იცვლება შეჯიბრების წესები, წონითი კატეგორიები, მაგრამ საქმეს მაინც ვერ ეშველა. ამიტომ თავგზაბანული მოჭიდავეები ერთი წონითი კატეგორიიდან მეორეში გადადიან და ასპარეზობის დაწყებამდე იმაზე მარჩიელობენ, მეტოქის ძლევის გარდა კიდევ რა არის საჭირო. საჭირო კი ბევრი რამაა, მათ შორის სატურნირო დაპირისპირებაში გარკვევის უნარი, ზოგჯერ მსაჯის მოსყიდვა და სხვა ხალისისქვეშა მამამაღლობაც. ჭიდაობის კულისებში მოფუსფუსე ხალხს თუ ყურს მიუღებთ, იმასაც გაიგონებთ, რომ იქ ვაჭრობა და დიდი აღებმცემობაა, რითაც ეს საქმე იმ უძველეს პროფესიასაც მოგვაგონებს.

არანაკლებ „სალადობო“ ამბები ხდება თავისუფალ ჭიდაობაში. თუმცა ბევრი ამგვარი ისტორია ტრაგიკული უფროა, ვიდრე კომიკური. თუნდაც 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშები გავიხსენოთ.

მაშინ პირველ საშუალო წონაში მოასარეზე ირანელი მანსურ-მეჰმედი-ზადე არც ერთ ბრძოლაში არ დამარცხებულა, მაგრამ ჩემპიონობა ვერ მოიპოვა. ეგ კი არა, მესამე ადგილზეც ვერ გავიდა. არადა, ირანელმა ბრძოლა ფრედ დაასრულა მომავალ ბრინჯაოს პრიზიორთან დანიელ ბრანდთან, აჯობა ვერცხლის პრიზიორს, განვლილი თამაშების ჩემპიონს თურქ ჰასან გიუნგიორს, სძლია ასევე მომავალ ჩემპიონს, ბულგარულ პროდან გარჯევსაც. მათ გარდა, კიდევ ორი მეტოქე დაამარცხა, მაგრამ ჩემპიონი მაინც ვერ გახდა. მომავალი ჩემპიონი კი ერთ ბრძოლაში დამარცხდა, ორი შეხვედრა ფრედ დაასრულა (მათ შორის ჩვენს შთააღმძვინვარებელს) და ამდენივე წმინდად მოიგო.



